საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 73 (352) | შაბათი, 2 მაისი, 1992 წელი | ფასი 1 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

კომენდანტის საათი გაგრძელდა

საქართველოს სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა გააგრძელოს თბილისში კომენდანტის საათი. წინასწარი მონაცემებით, იგი იმოქმედებს ამა წლის 1 ივნისამდე. ასეთი გადაწყვეტილება, როგორც ქალაქის სამხედრო კომენდანტმა გია გულუამ თქვა, იმან განაპირობა, რომ სტაბილური ვერ არის პოლიტიკური სიტუაცია. საქართველოს ექსპრეზიდენტის მომხრენი კვლავ აწყობენ უსანქციო მიტინგებს, 29 აპრილს კვლავ გაიმართა ერთ-ერთი უკანასკნელი მიტინგი, რომელზეც ისევ გაისმოდა დეზინფორმაცია და აშკარად პროვოკაციული ლოზუნგები, მოსახლეობას აშკარად მოუწოდებდნენ არ დაემორჩილონ და დაამხონ რესპუბლიკის ახლანდელი ხელმძღვანელობა. გარდა ამისა, კვლავ რთულია კრიმინოგენური სიტუაცია, დიდია მკვლელობათა და ძარცვა-ყაჩაღობის რიცხვი. ჩამოსართმევია იარაღი, რომელიც მეტად ბევრი დაგროვდა მოსახლეობის ხელში.

— ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სამხედრო კომენდანტმა, — რომ ქალაქის ქუჩებში ყოფნა 23 საათიდან (და არა 24 საათიდან, როგორც ეს ჯერ კიდევ ბევრს ჰგონია) — დილის 6 საათამდე დადგენილი რეჟიმის დარღვევად ითვლება და დაკავებულთა მიმართ გამოიყენებენ ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს. ანგარიშს ვუწევთ მოქალაქეთა თხოვნას და ორჯერ დროებით შევაჩერეთ კომენდანტის საათის მოქმედება — 9 და 26 აპრილს. თბილისელებს, დედაქალაქის სტუმრებს ვთხოვთ გაითვალისწინონ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება და ნუ გაამწვავებენ სიტუაციას ქვეყნისთვის ამ რთულ დროს.

რიმა შელია.

რესპუბლიკის შსს პრესცენტრის ცნობა

ზუგდიდში კვლავ დაძაბული ვითარებაა. 30 აპრილს ზუგდიდში კინოთეატრის შენობასთან ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებმა გამართეს კარავი, რომელიც საღამოსთვის უკვე აიღეს ყოველგვარი ექსცესების გარეშე. იმავე ღამით, 2 საათზე, აღიკვეთა სასტუმრო „ოდიშის“ დაწვის ცდა, მაგრამ სასტუმროს მაინც გაუჩნდა ხანძარი. მთლიანად დაიწვა მეორე სართულის ორი ოთახი, ხოლო შენობა ნაწილობრივ დაზიანდა.

30 აპრილს ქალაქ სენაკში გაიმართა 80-კაციანი მიტინგი, რომლის მონაწილენი მოითხოვდნენ სოციალური საკითხების გადაჭრას და ყოფილი ხელისუფლების აღდგენას.

რუსეთის შინაგანი ჯარის გასვლის შემდეგ სამაჩაბლოში შედარებით სიმშვიდეა, მაგრამ 30 აპრილს გორის რაიონის სოფელ ვანათში მინდორში მომუშავე 65 წლის ტარიელ თედელურს თავს დაესხა ავტომატებით შეიარაღებული ოსი ექსტრემისტების ჯგუფი, რომელმაც მოუნდომა საქონლის წართმევა, მაგრამ როცა მის დასახმარებლად გამოეშურნენ თანასოფლელები, ბანდიტებმა ავტომატის ჯერით მოკლეს თედელური და მიიმალნენ.

სოხუმიდან გვაცნობეს

ვისაც რა ეზეიმება

როგორც ცნობილია, უკვე წელიწადნახევარია, რაც საქართველოს რესპუბლიკაში აღარ აღნიშნავენ საბჭოურ დღესასწაულებს.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა პარადოქსალური სიტუაცია: მოსახლეობის ერთი ნაწილი და საწარმო-დაწესებულებები აღნიშნავენ საქართველოს ეროვნულ დღესასწაულებს, მეორე ნაწილი — საბჭოურ დღესასწაულებს. ასეთივე მდგომარეობაში არიან სასწავლებლები — საშუალო და უმაღლესი, ერთი ნაწილი ისვენებს ეროვნული დღესასწაულების დღეებში, მეორენი საბჭოურს ზეიმობენ.

ასე მოხდა ამჟამადაც: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით, მიმდინარე წლის პირველი და ორი მაისი უქმე — „გაზაფხულისა და შრომის ზეიმის“ დღეებად გამოაცხადა. ასევე 9 მაისიც უქმე დღედ რჩება.

პირველ მაისს სოხუმში ბევრი საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი ასევე ზოგიერთი წარმოება მუშაობდა, ხოლო დანარჩენები ისვენებდნენ.

იოსებ გოგეჩია.

წუხელ შეიტყვეთ

30 აპრილს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ორი უმნიშვნელოვანესი ამბავი მოხდა: განისაზღვრა რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების მოწყობის თარიღი და, როგორც იქნა, დამტკიცდა რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოს ბედი ახლა თითოეული ჩვენგანის გონიერებასა და პატიოსან გარჯაზე ჰკიდია.

რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში

11 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნებია

რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების მოწყობის თარიღის განსაზღვრა, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 30 აპრილს გამართულ მორიგ სხდომაზე. განმარტა რა იგი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება, რომელსაც უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ბევრმა ორატორმა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება დიდ როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ამ რთულ და მეტად ძნელ ეტაპზე.

განიხილეს რა მეოთხე მოსმენით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი არჩევნების დებულებათა პროექტი, სხდომის მონაწილეები არაერთხელ მიუბრუნდნენ მის ცალკეულ მუხლებს და პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ დოკუმენტის თითოეულ პუნქტს. როგორც ცნობილია, წინა განხილვათა დროს მწვავე კამათის საგანი გახდა თავად არჩევნების მოწყობის სისტემა. პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების წარმომადგენლებთან წინასწარი კონსულტაციების შემდეგ თითქოს შეთანხმდნენ, მაგრამ არც ამჯერად შენელებულა აზრთა ჭიდილი, და გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი. საბოლოო ანგარიშით საკითხს კენჭი უყარეს, რის შედეგადაც მიიღეს გადაწყვეტილება: არჩევნები მოეწყოს მრავალმანდატიანი პროპორციული სისტემით.

დებულების კიდევ რამდენიმე პუნქტის განხილვისა და დაზუსტების შემდეგ გადაწყდა განაგრძონ მუშაობა დოკუმენტზე, რათა მას ნამდვილად დემოკრატიული ხასიათი მიენიჭოს, არ შეილახოს პოლიტიკური პარტიების, ამომრჩევლების უფლებები, და ამრიგად, სინამდვილეში იყოს უზრუნველყოფილი ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვა.

დღის წესრიგის მეორე საკითხის — საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი გამგეობის ორგანოებისა და მათი არჩევის წესის შესახებ ილაპარაკა სახელმწიფო საბჭოს წევრმა თეიმურაზ ფიფიამ. მან დაასაბუთა ამ არჩევნების მოწყობის აუცილებლობა და აღნიშნა, რომ ადგილებზე ხელისუფლების დეფიციტი ნეგატიურ გავლენას ახდენს საქმის ვითარებაზე როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე ეკონომიკის სფეროში.

გამოითქვა სხვადასხვა აზრი, რომლებიც ეხებოდა როგორც მუნიციპალური არჩევნების მოწყობის ვადებს, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ფორმირების სისტემას. კერძოდ, აღინიშნა, რომ დროის ნაკლებობის მიუხედავად, თავდაპირველად, ალბათ, უნდა მოეწყოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების არჩევნები, ხოლო რაც შეეხება წარმომადგენლობითს, შეიძლება მოცდა, რათა ჯერ დამთავრდეს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების საარჩევნო კამპანია. გადაწყდა, ამ საკითხის განხილვაც განაგრძონ.

სახელმწიფო საბჭოს წევრებმა მოისმინეს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილის, ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის სანდრო კავსაძის ინფორმაცია. მან გააცნო დამსწრეთ ცხინვალის რეგიონში შექმნილი მდგომარეობა, საიდანაც ამ დღეებში გაიყვანეს რუსეთის შინაგანი ჯარების სპეციალური ქვედანაყოფი. ახლა იქ სიტუაცია კვლავ რთულია. თუმცა აშკარა შეიარაღებული დაპირისპირება არ შეინიშნება. აქტიურად ეძებენ ამ რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზებს, ხორციელდება ღონისძიებანი ოსი მოსახლეობის წარმომადგენლებთან კონტაქტების დამყარების მიზნით. ოპტიმიზმს ბადებს, რომ მეზობელი გორისა და ქარელის რაიონების მცხოვრებნი მოსურნენი არიან ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო კონფრონტაციას, აღდგეს ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა ქართულ და ოსურ მოსახლეობას შორის. რაც შეეხება კავკასიის მთიელი ხალხების კონფედერაციის ცხინვალში მოწყობილ კონფერენციას, როგორც სანდრო კავსაძემ თქვა, იქ ნამდვილად არ ისმოდა საქართველოს საშინაო საქმეებში შეიარაღებული ჩარევის მუქარა. სხვათა შორის, ამ კონფერენციაზე გამოსულმა აფხაზეთის წარმომადგენელმა სერგი შამბამ პრაქტიკულად უარყო კონფლიქტის გადაწყვეტის ასეთი ხერხი და აღნიშნა, რომ საჭიროა იმოქმედონ პარლამენტური გზით.

გააანალიზეს რა მოსმენილი ინფორმაცია, სახელმწიფო საბჭოს წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ცხინვალის რაიონში კონფლიქტი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით უნდა მოგვარდეს, ლაპარაკიც კი ზედმეტია რომელიმე მხრიდან ძალისმიერ გავლენასა და მით უმეტეს სისხლისღვრაზე, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა აღარ დაიღვაროს არც ერთი წვეთი სისხლი. აქ მცხოვრები როგორც ქართველები, ისე ოსები საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან და სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათი უშიშროებისთვის, დაიცვას მათი უფლებები და თავისუფლებები და უზრუნველყოს ცხოვრების ნორმალური პირობები.

სხდომაზე დაისვა ზუგდიდისა და მის ახლომდებარე რაიონების მოსახლეობისთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის საკითხი. კერძოდ, მოიწონეს წინადადება, რომ შეიქმნას ზუგდიდის აღდგენის ფონდი, დაარსდეს აქ ბანკი. რესპუბლიკის მთავრობას რეკომენდაცია მიეცა ოპერატიულად განიხილოს და გადაწყვიტოს ეს საკითხები, გამონახოს შესაბამისი რესურსები დასახული პროგრამის შესასრულებლად.

სახელმწიფო საბჭომ განიხილა სხვა საკითხებიც.

ედუარდ ედიბერიძე,
თენგიზ ნიკოლაიშვილი.

საქართველოს მთავრობაში

რესპუბლიკის ბიუჯეტი შეიქმნა

საქართველოს მთავრობის პრეზიდიუმის 30 აპრილს გამართულ სხდომაზე, როგორც იქნა, დამტკიცდა რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. მისი დეფიციტი შეადგენს მილიარდ 800 მილიონ მანეთს — 26,4 მილიარდი მანეთით განსაზღვრული ბიუჯეტის საერთო მოცულობის 4,9 პროცენტს. შეგახსენებთ, რომ წინასწარი ვარაუდით, რომელიც განსახილველად წარედგინა მინისტრთა კაბინეტს აპრილის დამდეგს, ნავარაუდევი იყო 6,7 მილიარდი მანეთი დეფიციტი, ანუ მისი საერთო მოცულობის 25,4 პროცენტი. და მხოლოდ ადგილობრივი მართვის ორგანოებთან ერთად რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემოსავალ-გასავლის შეწონასწორებისთვის გაწეულმა დიდმა და საგულდაგულო მუშაობამ გახადა შესაძლებელი მინიმუმამდე შემცირებულიყო დეფიციტი, რომლის დამტკიცებაც გადაწყვიტა მთავრობამ.

ამრიგად წლეულს მეტისმეტად დაძაბული ბიუჯეტი გვაქვს და, ბუნებრივია, ასეთსავე საგანგებო ღონისძიებებს და ძალების მაქსიმალურ დაძაბვას საჭიროებს იმისათვის, რომ საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის რთულ პირობებში როგორმე გავიტანოთ თავი, არ გაკოტრდეს რესპუბლიკა. მაგალითად, სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად გამოიყოფა 11,9 მილიარდი მანეთი, სოციალურ სფეროს მოხმარდება 10 მილიარდ მანეთზე მეტი. ბიუჯეტი ითვალისწინებს აგრეთვე მიმდინარე წლის პირველი მაისიდან ხელფასის მომატებას, რის შემდეგაც მისი მინიმალური დონე რესპუბლიკაში 500 მანეთს მიაღწევს, პენსიები და სტიპენდიები საშუალოდ გაიზრდება 20-25 პროცენტით, სხვა ხარჯები, კერძოდ, განკუთვნილია შეიარაღებული ძალების ფორმირების, წინათ საკავშირო დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების დასაფინანსებლად და ა. შ.

მთავრობამ მოიწონა რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის პირველი ეტაპის ძირითადი მიმართულებანი, ეკონომიკის სფეროში საკანონმდებლო აქტების მომზადების, დაზუსტებისა და სრულყოფისთვის მუშაობის პროგრამა და ეკონომიკური რეფორმის უპირველეს ღონისძიებათა განხორციელების პროგრამა, რომლებიც წარმოადგინა ეკონომიკის სამინისტრომ.

მოიწონეს აგრეთვე საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სისტემის ობიექტების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის კონცეფცია და პროგრამა. სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტს წინადადება მიეცა გამოიყენოს ეს მასალები არსებული რესპუბლიკური კონცეფციისა და პროგრამის შემუშავებისას. როგორც სხდომაზე ითქვა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა დააჩქარონ მუშაობა ამ მიმართულებით, რათა უკვე მიმდინარე წლის მაისის დამლევიდან შესაძლებელი იყოს შევუდგეთ განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის საწყის ეტაპს.

(დასასრული მე-2 გვ.)

საჰაერო ხიდი ვაშინგტონ-თბილისი

გადებულია საჰაერო ხიდი ოკეანის გაღმიდან საქართველომდე. პირველ მაისს თბილისის აეროდრომზე დაეშვა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომელმაც ჩამოიტანა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ჰუმანიტარული დახმარება — 18 ტონა კვების პროდუქტები.

ტვირთი მიღებულია საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდის მისამართით.

დედაქალაქის აეროპორტში თვითმფრინავის ეკიპაჟს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პრეზიდიუმის წევრი ჯაბა იოსელიანი, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე. მათთან ერთად იყვნენ საქართველოს რესპუბლიკაში წარმოგზავნილი ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული მერი ქევანო, თბილისის მერი ოთარ ლითანიშვილი, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

— ამერიკელი ხალხის ჰუმანიტარული დახმარება დიდი საქმეა ჩემი ქვეყნისათვის, ჩემი ხალხისათვის, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — უდიდეს მადლობას მოვახსენებთ პირადად ჩემი სახელით, ჩემი რესპუბლიკის მოქალაქეთა სახელით ბატონ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, ჩემს მეგობარს სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს, მთელ ამერიკელ ხალხს, რომლებიც ჩვენთან ერთად განიცდიან ჩვენს სიძნელეებს. ჩვენ ვაშენებთ ახალ სამყაროს. წინათ სხვა სულისკვეთებით ვზრდიდით ადამიანებს, ვაშინებდით ამერიკული ბომბდამშენებით, დღეს კი თქვენ აქ სამშვიდობო ტვირთით გვეახლეთ.

— დღეს თბილისში ჩამოვიდა ორი თვითმფრინავი, — თქვა ბატონმა ქერი ქევანომ. — ხვალ კიდევ ჩამოვა სამი და ასე დღეხანს გაგრძელდება. მე გამომგზავნეს საქართველოში, რათა დახმარება გავუწიო თქვენი ქვეყნის ხალხს. ყველაფერს ვიღონებ, რომ შევასრულო ეს საპატიო მისია.

...ნელა იხსნება „ბოინგის“ უზარმაზარი ლიუკები. კონვეიერის ლენტით ჩამოდის კვების პროდუქტებით დატვირთული ათობით ყუთი. მათ ფრთხილად აწყობენ სატვირთო მანქანებში, რომლებიც თბილისისაკენ მიემართებიან.

რა ადგილი მივუჩინოთ იმ ფაქტს, როცა პირად პოლიტიკურ ამბიციებს ეწირება საერთო ეროვნული საქმე?

ღია წერილი სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრს, მის მაყურებელს

ძვირფასო მეგობრებო!

ორიოდე თვეც და დამთავრდება თეატრალური სეზონი, სოხუმის ქართულ თეატრს კი სეზონი ჯერაც არ დაუწყია. პოლიტიკურ ვნებათაღელვას შეეწირა ეროვნული კულტურის საქმე. ვერავინ და ვერაფერი ვერ გაამართლებს ამ ფაქტს. არ გვინდა ვიფიქროთ, თითქოს ისე დაეცა სოხუმელ ქართველთა ეროვნული თვითშეგნება, რომ თავად გამოიკეტეს საკუთარი თეატრის კარი, როგორ ვიფიქროთ, რომ შეიძლება თეატრში იყოს თუნდაც ერთი პროფესიონალი მსახიობი, რომელიც ხელს უშლის სეზონის დაწყებას. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ სად, რომელ ცივილიზებულ ქვეყანაში მომხდარა, რომ ამის გამო თეატრის კარი გამოეხუროთ? ნუთუ მართლა ჩაქრა სოხუმის ქართული თეატრის მსახიობთა შემართება, მათი ერთიანობის, ეროვნული კულტურისთვის თავდადების ტრადიციები? რა ადგილი მივუჩინოთ ქართული თეატრის ისტორიაში იმ ფაქტს, როცა პირად პოლიტიკურ ამბიციებს ეწირება საერთო ეროვნული საქმე? დეპარტიზებულ თეატრში პოლიტიკური პროვინციალიზმის ყოველი რეციდივი ხომ მძიმე კვალს ტოვებს არა მარტო საერთოდ თეატრის, ხელოვანის ისტორიაშიც.

სად წავიდა ის მაყურებელი, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით, ასე დიდად რომ ამაყობდა სოხუმის ქართული თეატრით? ასე როგორ გადასხვაფერდნენ, რომ აღარ აღელვებთ ქართული კულტურის ბედი? ნუთუ აფხაზური თეატრის მაგალითი მაინც არაფერს გეუბნებათ? მათ ხომ შეძლეს. არა მარტო სეზონის გახსნა, არამედ წარმატებაც, რაც არ შეიძლება არ გვახარებდეს, მაგრამ გული გვტკივა, რომ ასეთივე ეროვნული ღირსების გრძნობა და თვითშეგნება არ აღმოაჩნდა ჩვენ, ქართველებს. ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერად სხვა ვერაფერი მოიფიქრეს და მისი მამის, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრს გამოუკეტეს კარი. რა ჰქვია ამ საქციელს? ან ჰქვია კი სახელი? იქნებ უნებლიე შეცდომაა, რომელიც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს? ღმერთმა ქნას ასე იყოს!..

ჩვენ გვწამს, რომ თეატრში არიან ძალები, რომელთაც სურთ მუშაობა, მობეზრდათ უსაქმურობა, სწყურიათ სიმშვიდე და კარგად იციან, რომ მათი თეატრის საქმე იმას ჰგავს, ვთქვათ, კახელმა გლეხმა ახლა რომ განაცხადოს, თუ ექსპრეზიდენტს არ დააბრუნებთ, ჩემი ხელით ავჭრიო ვენახს. მიადგეს და აკაფოს საკუთარი ხელით ჩაყრილი ვაზი. მსახიობის ვაზი თეატრია. მას შეჰხარის, მისგან ელის მოსავალს, თავის ხალხსა და ქვეყანასაც რომ სჭირდება.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენო ძმებო და დებო! ნუ გავხდებით მტრების დასაცინი, მტერი კი ბევრი გვყავს შინ და გარეთაც. უპირველესი მტრები ჩვენი თავისა კი თავად აღმოვჩნდით. მთელს აფხაზეთში ქართული თეატრი გვაქვს, ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა მან ქართული თეატრის ისტორიაში, იგია „ჩვენი ეროვნების საჯარო ნიშანი“ (ილია) რა ღმერთი გაგვიწყრა, რომ ასე ადვილად დავთმეთ, მაშ, რისთვის იბრძოდა თეატრიცა და მისი მაყურებელიც სულ ახლო წარსულში, როცა ახალ შენობაში მკვიდრდებოდა? განა მართლა ჩაკვდა ხალხში თეატრისადმი რწმენა და მისი ისტორიული როლის შეგნება? ხალხს უნდა თეატრი, მათ კარგად იციან, რომ იგია აფხაზეთში ქართული კულტურის ძლიერი და საიმედო ფლაგმანი. განა მან ცოტა წვლილი შეიტანა ეროვნულ მოძრაობაში? მუდამ იყო, სადაც თავის ხალხს სჭირდებოდა. რამდენი აქტიორული სახე შეიქმნა, რამდენი რეჟისორული წარმატება გვახსოვს მის სცენაზე. ეს არის ჩვენი სულის ნაწილი, ჩვენი სიხარული, ჩვენი ტკივილი და ხსოვნა, ეროვნულ ცნობიერებას რომ აფხიზლებს. ვის აქვს უფლება, წაგვართვას იგი — თქვენ, ჩვენ და ყველა ადამიანს, ვინც იცის სულიერების ფასი. ყველაზე მეტად სწორედ ახლა გვჭირდება თეატრის გამამხნევებელი სიტყვა, რათა მოგვაგონოს ის, რაც გვაერთიანებდა, რაც შეადგენდა ჩვენს ეროვნულ სიამაყესა და ღირსებას, ჩვენს ერთად გადახდილ ბრძოლებსა და გამარჯვების სიხარულს. დიახ, ახლა სჭირდება თეატრი ჩვენს დაქვეითებულ ეროვნულ ცნობიერებას, ჩვენს უღრმეს ზნეობრივ კრიზისს. იგი სჭირდება თვით თეატრსა და მის კეთილ მაყურებელს. უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რათა გაცოცხლდეს მკვდარი სეზონი, ისე, როგორც ეკადრება დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახელს.

პატივისცემით

ნოდარ გურაბანიძე.
ვასილ კიკნაძე.

ეხმაურებიან სახელმწიფო საბჭოს მიმართვას

საერთო ენა უნდა გამოინახოს

ამჯერად, მიმართვის პრაქტიკული განხორციელების გზებზე პატარა ლიახვის ხეობის ქართული სოფლის, ერედვის მცხოვრებთ გავესაუბრე.

— რა აზრისა ხართ ქართველი და ოსი მოსახლეობისადმი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიმართვაზე, როგორ გესახებათ მისი განხორციელების გზები? — ვკითხე ო. ცოტნიაშვილს.

— გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელ სიტუაციაში კარგად გვესმის ორ მხარეს შორის საომარი მოქმედების შეწყვეტისა და შერიგების დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სალი აზრი, დღეს იქნება თუ ხვალ, გაიმარჯვებს, ისტორია მართალსა და მტყუანს თავის საკადრის განაჩენს გამოუტანს. მაგრამ პრინციპულად მინდა შევნიშნო, რომ დღეს სამაჩაბლოში მდგომარეობა იმდენად ექსტრემალურია, რომ მიმართვაში დაყენებული დებულებების პრაქტიკული განხორციელებისათვის გადამწყვეტი სიტყვის თქმა ძალზე ძნელია.

— როგორ, გეძნელებათ კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა?

— იქნებ ვინმემ გვითხრას რა დავაშავეთ ქართველებმა, რომ შერიგებაზე ვილაპარაკოთ? — საუბარში ჩაერთო კ. ქრისტესიაშვილი.

— გადავხედოთ ჩვენი ურთიერთობის ბოლო წლებს. ოსურმა მხარემ კონსტიტუციური მოთხოვნების სრული დარღვევით შექმნა ე. წ. ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა და ჩვენი ისტორიული მიწა-წყლის — შიდა ქართლის მიტაცება და რუსეთთან შეერთება მოინდომა. როგორ ფიქრობთ, მამა-პაპათა საფლავებს ვინმეს დავუთმობდით?

— როდემდის გაგრძელდება ასე?

— დავუშვათ, რომ ჩვენ დავთანხმდით სახელმწიფო საბჭოს მოთხოვნებს, როგორ გგონიათ, ოსური მხარე მოისურვებს შერიგებას? — მეკითხება ვ. ქუქუნიაშვილი.

— ხელს რა შეუშლით?

— რა და, არაკონსტიტუციური მოთხოვნები, რომლებსაც დღეს ოსური მხარე აყენებს. უპირველეს ყოვლისა, ისინი მოითხოვენ ავტონომიური ოლქის აღდგენას ან რესპუბლიკის შექმნას.

— დავუშვათ, მართლაც დადგა ავტონომიის აღდგენის საკითხი, თქვენ რა აზრისა იქნებით?

— ეს არ უნდა მოხდეს, — მეუბნება ნ. ტარიელაშვილი, — ვფიქრობ, საქართველოს მთავრობა და ხელისუფლება ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს.

— როგორ ფიქრობთ, ადმინისტრაციული ავტონომიის უქონლობა ხომ არ გამოიწვევს ოსი ხალხის დისკრიმინაციას?

— არავითარ შემთხვევაში. — ამბობს ქ. ბორცვაძე, — მათ ყველა პირობა ექნებათ კულტურული ავტონომიის შექმნისათვის, რაც მათ თვითგამორკვევის რეალურ საშუალებებს მისცემს.

ერედველი მოსახლეობის დიდი ნაწილი იმ აზრისაა, რომ დღევანდელ ეტაპზე ორივე მხარემ უნდა სძლიოს ემოციებს და ურთიერთმიმტევებლობით და შერიგებით, ერთიანი ძალით ვაშენოთ დემოკრატიული საქართველო.

ამ დღეებში შევეცდები, რომ ოსური მხარის აზრიც მივაწოდო მკითხველს.

გივი ბორცვაძე.

ნომერში:

- რა არის გასაყიდი, ვინ გაყიდის და ვინ იყიდის? მე-2 გვ.
- „ვისა შურს, საქართველოვ, ნეტა შენი ბედის?“ მე-3 გვ.
- ვინ აიღებს სათუთად ნიჟარას და გადამალავს ბალახში? მე-3 გვ.
- გარდაცვალების დეპეშა სოხუმიდან, ანუ ფანტასმაგორია. მე-4 გვ.

ტელეტაიპის ლენტიდან

სამეცნიერო პოტენციალს გაფრთხილება სჭირდება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1993 წლიდან კონკურსების მოწყობისა და კონტრაქტების გაფორმების საფუძველზე რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებები გადაიყვანოს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების ახალ სისტემაზე.

შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრის მოადგილე ირაკლი სურგულაძე. კომისიას დაევალა წლეულს პირველ დეკემბრამდე შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად მთავრობის დადგენილების პროექტი სამეცნიერო დაწესებულებების დაფინანსების ახალ სისტემაზე გადაყვანის თაობაზე.

◆

დამტკიცდა პრიორიტეტულ მიმართულებათა პროგრამა

თბილისში გამართულმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა საერთო კრებამ განიხილა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში სოფლად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხი.

კრებამ დაამტკიცა სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 1922 წლის რეკომენდაციები, ფართო მასშტაბის პროგრამა „საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსი-95“, რომელიც ითვალისწინებს სოფლად დაგროვილი მთელი რიგი პრობლემების გადაჭრას.

განიხილეს აგრეთვე მიწის რეფორმის მიმდინარეობასთან, სასელექციო მუშაობასთან, არატრადიციულ სახეობათა ნედლეულის გამოყენებასთან დაკავშირებული და სხვა პრობლემები. კრების მონაწილეებმა მიიღეს 1992-2000 წლების პერიოდისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა პროგრამა, დაამტკიცეს საქართველოს მთის რეგიონების ფერმერთა საერთაშორისო ასოციაცია.

◆

„ქარტია-91“-ის წარმომადგენლები ქუთათურებთან

ამ დღეებში, ქუთაისში, პოლიტიკური ორგანიზაცია „ქარტია-91“-ის წარმომადგენლებმა — ბატონებმა თედო პაატაშვილმა, მერაბ ურიდიამ, ირაკლი მელაშვილმა, ბესო ფარუაშვილმა და მალხაზ დვალიშვილმა შეხვედრები გამართეს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან. ისინი ქალაქის ტექნიკის სახლში შეხვდნენ ქუთაისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. შეხვედრების ძირითადი მიზანი იყო ქალაქის მოსახლეობა გასცნობოდა „ქარტია-91“-ის პოლიტიკურ მრწამსს და საქმიანობას, ხოლო აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები — ქუთაისელთა დამოკიდებულებას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებისადმი.

◆

მოსკოვამდე ავიაბილეთი 1822 მანეთი ღირს

პირველი მაისიდან საქართველოში იმათთვის, ვისაც მოესურვება სამოქალაქო ავიაციის მომსახურებით სარგებლობა, ავიალაინერებით მოგზაურობა კიდევ უფრო ძვირი სიამოვნება გახდა. მაგალითად, მოსკოვამდე ბილეთი ახლა უკვე 1822 მანეთი ეღირება. სანკტ-პეტერბურგამდე — 2208 მანეთი, მაგრამ ჯერჯერობით სულაც არ გაუმჯობესებულა ავიამგზავრთა მომსახურება არც დედამიწაზე — აეროპორტებში, და არც ჰაერში — თვითმფრინავების სალონებში.

მაგრამ, აი, საკვირველი რა არის: საჰაერო ტრანსპორტის გაძვირებამ ვერ შეამცირა მგზავრობის მსურველთა ნაკადი.

◆

გიტარისტთა პირველი ფესტივალი

ბათუმი 4-დან 8 მაისამდე უმასპინძლებს გიტარისტთა ფესტივალს, რომელიც პირველად იმართება საქართველოში. ქართული საგიტარო ხელოვნების ეს ფართო დათვალიერება ეწყობა აჭარის კულტურის სამინისტროსა და ავტონომიური რესპუბლიკის მუსიკალური საზოგადოების ინიციატივით.

საფესტივალო კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი გიტარისტები — ვაჟა კალანდაძე, თემურ ყვითელაშვილი, ზაზა მიმინოშვილი, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ანსამბლი „გვირილა“, თბილისის მუსიკალური კოლეჯის პედაგოგები, მოყვარული გიტარისტები, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები და სხვები.

ტელეტაიპის ლენტიდან

სიღარიბეს რა ვუთხარი

„მშვიდობით, ჩემო ვენახო...“

ო, როგორ გავიძახოდით: „ნუ დავკარგავთ სოფელთან კავშირს!“, „ნუ მოვწყდებით მშობლიურ ფესვებს!“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

დამთავრდა სოფელთან კავშირი: იმდენი სიცოცხლე ჩვენ, რამდენი ქართველისაც, მიუხედავად დიდი სურვილისა, სააღდგომოდ, უსახსრობის გამო, მშობელ კუთხეში ვერ ჩავიდა, რომ უახლოესი ადამიანების საფლავები მოენახულებინა. მაგრამ ერთი კვირის წინათ რომ საქალაქთაშორისო ავტობუსების ფასები იყო და ჩვენ მაინც გვეძვირებოდა, დღეს ის ფასები უკვე არარად გვეჩვენება. როგორც საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს ეკონომიკის განყოფილების უფროსმა ალექსანდრე თავთავაძემ გვაცნობა, პირველი მაისიდან საჰაერო, სარკინიგზო თუ საავტომობილო ტრანსპორტზე მნიშვნელოვნად მოიმატა ფასებმა. მაგალითად: გორში ჩასვლა ავტობუსით უკვე 57 მანეთი ღირს.

თბილისი — ქუთაისი (ექსპრესი) 179 მანეთი (ჩვეულებრივი — 149).

თბილისი — სოხუმი (ექსპრესი) 348 მანეთი, ჩვეულებრივი — 290.

თბილისი — ბათუმი — 305-242.

თბილისი — ახმეტა — 132-110.
თბილისი — ერევანი — 268.
თბილისი — ბაქო — 466 და ა. შ.

ეს არის, ცხადია, არასრული სია და ისიც მარტო ავტობუსებით მგზავრობისა. რას ვიზამთ, უბრალო ლოგიკაა, რაკი ყველაფრის ფასი (ბენზინის, მარაგ-ნაწილების) იმატებს, მოიმატა მგზავრობის ღირებულებამაც...

ახლა თუ ისე, უნდა გავუძლოთ! მშვიდობით, გაფურჩქნილო და შემოსილო ვენახო! წელიწადში ერთხელ თუ ჩამოვირბინეთ, დიდი შეღავათია.

ვილენ მარდალეიშვილი.

რესპუბლიკის ბიუჯეტი შეიქმნა

(დასასრული)

იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად გაძვირდა სათბობი და სხვა მატერიალური რესურსები, აგრეთვე გაიზარდა თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისთვის საჭირო ხარჯები, რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა შემოიღოს საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის ახალი ტარიფები. მიმდინარე წლის პირველი მაისიდან დადგინდა უაღრესად გაზრდილი კოეფიციენტები ამჟამად მოქმედ ტარიფებთან შედარებით: სახელმწიფოთაშორისი ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისთვის — 8,6, რესპუბლიკურისთვის — 2. ეს ნიშნავს, რომ თბილისიდან მოსკოვში გასამგზავრებელ ბილეთში, მაგალითად, ამიერიდან გადასახდელი იქნება 1822 მანეთი, და ვთქვათ თბილისიდან ბათუმში გასამგზავრებლად — 140 მანეთი.

განიხილეს რესპუბლიკაში ვალუტის ფონდების ფორმირების დროებითი წესის საკითხი. საქართველოს სახელმწიფო ვალუტის ფონდში საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ მიღებული ამონაგებიდან კონვერტირებული ვალუტით ანარიცხების ნორმატივი დადგინდა 12 პროცენტის ოდენობით. აქედან ორი პროცენტი გადაეცემა მართვის ადგილობრივი ორგანოების ვალუტის ფონდს, ამასთან, ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე მოქმედი ამ ორგანოებისთვის ეს პროცენტი განისაზღვრება ამ რესპუბლიკების მთავრობათა შეხედულებისამებრ.

სახელმწიფომ იკისრა მზრუნველობა ყველასთვის, ვინც რესპუბლიკაში დატრიალებული 1991 წლის დეკემბრის, 1992 წლის იანვრის და შემდგომი პერიოდის ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაინვალიდდა, აგრეთვე დაღუპულთა ოჯახების წევრებისთვის. მთავრობამ ნება დართო ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაუნიშნოს მათ შესაბამისი პენსიები. გადაწყდა პენსიები დაენიშნოთ მარჩენალის დამკარგავ ფასიანი სასწავლებლის მოსწავლეებსაც, რომლებიც ამიერიდან უთანაბრდებიან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი სასწავლებლების მოსწავლეებს. სხვათა შორის, მიღებულია გადაწყვეტილება იმის შესახებაც, რომ მოქმედი ნორმატივების გადაუჭარბებლად საშტატო ერთეულებით დაკომპლექტდეს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ორგანოები.

რესპუბლიკის დასახლებული პუნქტებისა და მიწის სავარგულების წყალდიდობისგან დაცვისა და ამ სამუშაოების დროულად განხორციელების მიზნით წლევანდელი წლისთვის დამტკიცდა შესაბამისი მოცულობის ასიგნებანი. ისინი შეადგენს: სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით — 11 მილიონ მანეთს, არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს ხაზით — 7,5 მილიონ მანეთს. იმისთვის, რომ უკეთ გამოვიყენოთ რესპუბლიკის საავტომობილო გზების ქსელის განვითარებისა და შენახვისთვის გამოყოფილი სახსრები, გადაწყდა ამ გზებს მიეცეს საერთო სარგებლობისა და უწყებრივი გზების კლასიფიკაცია.

რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია გარდაიქმნა ამ სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის კვლევით ცენტრად, რომელსაც მიენიჭა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტატუსი. დამტკიცდა დროებითი დებულება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითთა და მეთაურთა შემადგენლობის სამსახურის გავლის შესახებ და დროებითი ინსტრუქცია ამ ორგანოების კადრების შერჩევის შესახებ. მიიღეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას სახანძრო-ტექნიკური კოლეჯი სახანძრო დაცვის სასწავლო ცენტრის ბაზაზე.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

ედუარდ ედიბერიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გამსვლელ სხდომაზე

იგივე პრობლემები და ცოტა კიდევ სხვა

ამჯერად გორი მასპინძლობდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო სხდომას, რომელიც გაიმართა 29 აპრილს.

დღის წესრიგში ისევ ერთი, მაგრამ საგანგებო პრობლემა იდგა: მიმდინარე ეტაპზე ქართლის და მესხეთ-ჯავახეთის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები.

მთავარი თეზისი: მხოლოდ სტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას შეუძლია გამოიყვანოს კრიზისიდან ჩვენი უფსკრულთან მიყვანილი ეკონომიკა.

ყველა გამომსვლელის — მომხსენებელი იქნებოდა თუ კაბინეტის მონაწილე, მინისტრი თუ გამგებელი, წარმოების დირექტორი თუ მეურნეობის ხელმძღვანელი — სატკივარი ერთი იყო. დავამყაროთ მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგი ყველგან და ყველაფერში. ამაზე ლაპარაკობდნენ ქალაქ რუსთავის გამგებელი სოსო არეშიძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოდარ ჭითანავა, გორის გამგეობის თავმჯდომარე ვალიკო დოლიაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე, ხაშურის გამგეობის თავმჯდომარე ალექსანდრე ელიაშვილი, ჟურნალისტი მაყვალა ოქროპირიძე, ფინანსთა მინისტრი ვაჟა ჯინჯიხაძე და სხვები. ყველა მათგანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შარშანდელმა ქაოსმა და განუკითხაობამ დაღი დაასვა საერთო ოპერატიულ ვითარებას რესპუბლიკაში. ამას ზედ ერთვოდა შინაგან საქმეთა განყოფილებების აშკარა უმოქმედობა, იყო შემთხვევები, როდესაც დანაშაულის ფაქტები არ ფიქსირდებოდა და, ცხადია, არც რაიმე რეაგირება მოსდევდა მათ. გაიზარდა ისეთი დანაშაულებები, როგორიცაა ყაჩაღობა, ავტომანქანების გატაცება, ბინის ქურდობა და ბევრი სხვა.

საგანგებო სხდომამ დასახა კონკრეტული გზები პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისათვის, რაც ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ამოქმედებას.

რუსთავის ყველა საწარმო ამუშავებულია, მაგრამ ქალაქი სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. და როგორც აღნიშნა ქალაქის გამგებელმა, ბევრი მათგანი მთავრობის საგანგებო სხდომამ უნდა გადაწყვიტოს. ეს არის, მაგალითად, ფოთის პორტის რეკონსტრუქცია-გაფართოების და ხელახალი ტექნიკური შეიარაღების დაჩქარება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის საწარმოებსა და საზღვარგარეთელ პარტნიორებს შორის ტვირთბრუნვის გაზრდას.

რუსთაველებს გადაუდებელ პრობლემად მიაჩნიათ, რომ ქალაქის სახალხო მეურნეობის მოგებიდან ნახევარი ან უმეტესი ნაწილი ქალაქის ბიუჯეტშივე დარჩეს. ეს საკითხი კასპელებსაც აწუხებთ, რადგან ისეთი გიგანტი, როგორიცაა კასპის ცემენტის ქარხანა, არაფერს უტოვებს ქალაქს.

ამჟამად ქალაქების გამგეობები ინტენსიურად მუშაობენ მუნიციპალური მართვის ისეთ ახალ მოდელზე, რომელიც ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებაზე იქნება დაფუძნებული.

საერთო პრობლემაა ენერგეტიკული რესურსების მწვავე უკმარისობა. ქარხანა თუ ფერმა, საავადმყოფო თუ სკოლა — ყველა ერთნაირად რთულ მდგომარეობაშია დღეს. საჭიროა ახლავე შევუდგეთ ზამთრისათვის მზადებას. ყველა ლაპარაკობდა თავის სატკივარზე, მაგრამ ყველას სატკივარზე ილაპარაკა გორის გამგეობის თავმჯდომარემ ვალიკო დოლიაშვილმა. ეს არის ლტოლვილების ბედი. 8 ათასი კაცი ცხოვრობს დღეს სასტუმროში. მათ არ გააჩნიათ ცხოვრების ნორმალური პირობები, სითბო და საჭმელი. სამაჩაბლოს ლტოლვილების ბედი საერთო საქმეა. ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა მათ დაპურებასა და გათბობაში.

საერთო პრობლემათა შორის ახლა პირველ რიგში კვლავ დგას მიწის პრივატიზაცია. ორი ამოცანა მოითხოვს გადაუდებელ გადაჭრას, — აღნიშნა თეთრი წყაროს რაიონის გამგებელმა რომან დალაქიშვილმა. — პირველი — მიწის კერძო საკუთრებად გადაცემა და ამ პროცესში კანონის უზენაესობის დაცვა. მეორე — საზოგადოებრივი მეურნეობის გამგებლობაში დარჩენილი მიწის მოვლა-პატრონობა და საგაზაფხულო თესვის აგროვადებში დამთავრება. ზოგიერთი სოფლის ყრილობამ გადაწყვიტა მიწის რეფორმა განახორციელონ საერთოდ შემოდგომაზე, რათა ამჟამად დრო არ დაიკარგოს და მიწა დაუმუშავებელი არ დარჩეს.

მიწის რეფორმა ურთულესი პროცესია, რომელიც ახასიათებს ქართლის და მესხეთ-ჯავახეთის რაიონებს. მაგალითად, სადაც ახლად მშენებარე სოფლებია, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის მიწა, რასაკვირველია, საკმარისი არ არის. ეს იწვევს კონფლიქტებს რაიონებს, სოფლებს და თვით ოჯახებს შორისაც.

ქართული სოფლის წინაშე დიდ პრობლემად დგას მეცხოველეობის სულადობის შენარჩუნება და პროდუქტების წარმოება, ნამატის მიღება. საზოგადოებრივ მეურნეობებში საგრძნობლად გაუარესდა მეცხოველეობის დარგის საწარმოო მაჩვენებლები. ეს გამოწვეულია უხეში საკვების მწვავე დეფიციტით. ამას ემატება ვეტსამკურნალო და პროფილაქტიკური დეფიციტი, სხვა ათასი მოსაგვარებელი საქმე, და, რაც მთავარია, მეცხოველეობის ფერმების ხელაღებით გაუქმება.

მეტად მნიშვნელოვანი საკითხი დააყენა მცხეთის გამგეობის თავმჯდომარემ გელა მიქელაშვილმა. საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა, რომელიც გამოცხადებულია ქალაქ-მუზეუმად, შველას ითხოვს. მას საავადმყოფოც კი არ გააჩნია და მცხეთელები გაჭირვების დროს თბილისს მიეშურებიან. ყველაზე მტკივნეული კი მისი ეკოლოგიური მდგომარეობაა. ქალაქ-მუზეუმისათვის მთელმა საქართველომ უნდა იზრუნოს. სხდომაზე ითქვა, რომ უკვე მზად არის მისი განვითარების გენერალური გეგმა. ახლა მას ხორცშესხმა უნდა.

ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც, ჩანს, ყველა სატკივარის მიზეზია, სათავეა ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) ამჟამინდელი დეპრესია — ეს არის მთელი შარშანდელი წლის მანძილზე მეურნეობრიობის მართვაში სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი დილეტანტიზმი და განუკითხაობა.

ახლა თანდათან პროფესიონალებმა მოჰკიდეს საქმეს ხელი. პრობლემები, რასაკვირველია, ბევრია, მაგრამ თუნდაც პროფესიული გააზრება, ჩიხიდან მათ გამოსასვლელად სწორი გზის მოძებნა რეალური გარანტიაა დამბლადაცემული ეკონომიკის ფეხზე დასაყენებლად.

გ. ჩიქოვანი,
ა. ბალთიძე.

პრივატიზაციის პრობლემები

ვისია, ვისია...

ანუ რა არის გასაყიდი, ვინ გაყიდის და ვინ იყიდის

ამირან გაბისონია,
საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური რეფორმის სამმართველოს უფროსი

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრება ურთულესი სოციალური კოლიზიებით წარიმართება. სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია (სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაცია, საერთოდ) მძაფრი სოციალური გარდაქმნების პროცესი იქნება. სირთულეები და ფეთქებასაშიში სიტუაციები გველის საბაზრო ურთიერთობათა სხვა სფეროებშიც და ამისთვის წინასწარ უნდა მოვემზადოთ, რადგან რაკი თანამედროვე ცივილიზებული ეკონომიკის დანერგვას ვესწრაფვით, — გვინდა ეს, თუ არ გვინდა, — სინამდვილეში ვახდენთ მის სიმბიოზს სოციალისტური ეკონომიკის ნანგრევებთან, ჩვენს დამახინჯებულ ყოფიერებასა და ტრავმირებულ ცნობიერებასთან.

ახლა მივუბრუნდეთ სათქმელს და ჯერ იმას შევეხოთ, **თუ რა არის გასაყიდი.**

ამთავითვე უნდა შევთანხმდეთ, რომ ამ წერილში მოტანილი ყველა გაანგარიშება მიახლოებითია, რადგან, ჯერ ერთი, შარშანდელი მონაცემები ჯერ არ გვაქვს და შარშანწინდელი (1990 წლის) მონაცემებით უნდა გავიდეთ ფონს. მეორეც, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების დღევანდელ ეტაპზე ადამიანის ნებისმიერი ნახელავი, ძველი თუ ახალი, ისე გაძვირდა, რომ ადრინდელი საზომით ვერაფერს მივუდგებით. ადრინდელი საგანს მხოლოდ სახელწოდება შემორჩა (ისე, თუ დავაზუსტებთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ საგანი კი არ ძვირდება, არამედ თავის ჭეშმარიტ ფასს იძენს ბუნებრივი საბაზრო ურთიერთობების და არა ფასების სახელმწიფო კომიტეტის მეშვეობით).

მაშ ასე, რა გვაქვს გასაყიდი?

პრივატიზაციის საწყის, ანუ როგორც მას უწოდებენ „მცირე პრივატიზაციის“ ეტაპზე შესაძლებელია გაყიდვის გზით სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადავიდეს, პირველ რიგში, ის წარმოება-ორგანიზაციები (იგულისხმება მათი უძრავ-მოძრავი ქონება), რომლებიც უშუალოდ ემსახურება მოსახლეობას. ასეთებია საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, აგრეთვე კვების მრეწველობის რიგი დარგების (საკონდიტრო, მეღვინეობის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, ჩაის, მერძევეობის პროდუქტების, თევზის მრეწველობის), მსუბუქი ინდუსტრიის (ცალკეული დარგების (საფეიქრო, სატრიკოტაჟო, სამკერვალო, ტყავსაგალანტერეო, ფეხსაცმლის), საშენი მასალების წარმოების, ხე-ტყის გადამმუშავებელი და ავეჯის დამამზადებელი საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები. აი, ჩვენი აზრით, ის არასრული ნუსხა დარგებისა, რომელთა საწარმოები, ანუ როგორც ამჟამად ამბობენ, სახელმწიფო ქონება, შესაძლებელია გაიყიდოს კერძო პირებზე.

ჩამოთვლილი დარგების საწარმოთა უძრავი ქონების, ანუ როგორც მას ვუწოდებთ, ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულება 1990 წლის შეფასებით 3,5 მილიარდ მანეთამდეა. მაგრამ, როგორც ვთქვით, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ დღევანდელი ვითარება, ანუ მხედველობაში უნდა მივიღოთ გაძვირების ფაქტორი (ინდექსი), რომელიც ახალი ინვესტიციების შეფასებისას 16-20 ერთეულს (ჯერადობას) აღწევს. ხანდაზმულ და საკმაოდ გაცვეთილ (მაგრამ ჯერ კიდევ ვარგისი) ძირითადი ფონდების მიმართ კი შესაძლებელია დავჯერდეთ 7-9-ჯერ გაძვირების დაშვებას. ასეთი მიდგომით ზემოთ დასახელებული სახელმწიფო ქონება 29 მილიარდ მანეთს გადაამეტებს. მაგრამ წლეულს, წლის ბოლომდე, ცხადია, მისი მხოლოდ გარკვეული ნაწილი, საშუალოდ 40-60 პროცენტი შეიძლება გაიყიდოს (სხვადასხვა დარგში სხვადასხვა ხვედრი წილით), რაც მიახლოებით 16 მილიარდ მანეთს შეადგენს. ასეთი ღირებულების უძრავი ქონება უნდა მიეყიდოს კერძო პირებს, შრომით კოლექტივებს. ისიც, ვიმეორებთ, ეკონომიკის მხოლოდ ზემოთჩამოთვლილ დარგებში (დავარქვათ ამ მაჩვენებელს პირველი ვარიანტი).

მცირე პრივატიზაციის პროცესში ნაწილობრივ შესაძლებელია ჩაერთოს აგრეთვე ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების, მაგალითად, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის და ზოგიერთი სხვა დარგის საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე მრეწველობის სფეროს მანქანათმშენებლობის დარგის ცალკეული წვრილი საწარმოები. თუ ამ დარგების საწარმოთა ძირითადი ფონდების ღირებულებასაც გავითვალისწინებთ, მაშინ საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების საერთო საწყისი ღირებულება 10 მილიარდ მანეთს, ხოლო გაძვირების კოეფიციენტით და წლეულს გასაყიდი ქონების ხვედრი წილით გადაანგარიშებული — 37 მილიარდ მანეთს მიაღწევს (ამას დავარქვათ მეორე ვარიანტი).

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ქონების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში უპირატესად ალბათ აუქციონის წესით გაიყიდება, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სახელმწიფო ქონების გაყიდვის გზით მისაღები ამონაგები (შემოსავალი) საწყის ღირებულებას საგრძნობლად გადაამეტებს. გასაყიდი ქონების საწყის ღირებულებას აქვე უნდა დავამატოთ მათი საბრუნავი ფონდებიც (მოძრავი ქონება), რომელიც საშუალოდ, როგორც წესი, უძრავი ქონების ღირებულების მესამედს ან მეოთხედს მაინც აღწევს (სხვადასხვა დარგში — განსხვავებული ოდენობით).

ამრიგად, **თუ ყველა ჩამოთვლილ ფაქტორს გავითვალისწინებთ, ზემოთ დასახელებულ დარგებში (პირველი ვარიანტით) — წლეულს გასაყიდი სახელმწიფო უძრავ-მოძრავი ქონების საშუალო ღირებულება საერთო ანგარიშით 24-25 მილიარდ მანეთს მიაღწევს.**

ახლა ისიც ვთქვათ, თუ **ვინ არის ამ ქონების კონკრეტული გამყიდველი** („სახელმწიფო“ ზოგადი ცნებაა და ვიღაცამ ხომ უნდა იდოს თავს მისი უფლებამოსილების რეალიზაცია).

სახელმწიფო ქონების გაყიდვის ორგანიზაციის მიზნით ამას წინათ შეიქმნა სპეციალური სამთავრობო ორგანო — სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ეს ორგანო განაგებს (მართავს) ამჟამად მთელ ეროვნულ მეურნეობაში სახელმწიფო ქონებას (?!), რაც ლოგიკურად იმას ნიშნავს, რომ შესაბამისად დარგობრივი სამინისტროები და უწყებები უკვე არ განაგებენ (არ მართავენ) (?) მათ სფეროებში არსებულ საწარმოებს და ორგანიზაციებს. ამასთან, სრულიად გაუგებარია, თუ როგორ უნდა განაგებდეს ერთი უწყება მთელ სახელმწიფო ქონებას ეროვნული მეურნეობის ყველა სფეროში. ასეთი ორგანო მხოლოდ ერთია — რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც ეს უფლება დელეგირებით აქვს მიღებული უზენაესი საკანონმდებლო ორგანოდან და მას ახორციელებს დარგობრივი სამთავრობო უწყებების (სამინისტროების) მეშვეობით. ასეა თუ ისე, ახალი ორგანოს — სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის შექმნა მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს. ჩვენი აზრით, ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა, პრივატიზაციის სახელმწიფო კომიტეტის (სამინისტროს, დეპარტამენტის, სააგენტოს და ა. შ.) შექმნით, როგორც ეს საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაშია (ჩვენ რუსეთის ფედერაციის ანალოგია ავიღეთ). ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ქონების ტრანსფორმირების (განსახელმწიფოებრიობის, მუნიციპალიზების, პრივატიზების) საერთო მიდგომებს და კონცეფციებს შეიმუშავებდა ეკონომიკის სამინისტრო. იგი განსაზღვრავდა ამ სამუშაოთა ეტაპებს და სფეროებს, პრივატიზაციის სახელმწიფო კომიტეტი კი იმოქმედებდა კონკრეტული სახელმწიფო ქონების (ფაბრიკის, ქარხნის, წარმოების, ორგანიზაციის) გასაყიდად მომზადების და შემდეგ გაყიდვის ორგანიზაციის სფეროში, შეარჩევდა პრივატიზების ფორმებს, მეთოდებს, ვადებს და პრაქტიკულად გაყიდდა ამ ქონებას. ამ სქემაში, ვფიქრობთ, ურთიერთობა და ფუნქციები უფრო ნათელია და ლოგიკური, ვიდრე ამჟამად შექმნილ ვითარებაში.

მაგრამ დავუბრუნდეთ სინამდვილეს. ამრიგად, **სახელმწიფო ქონებას გასაყიდად შეარჩევს, ამზადებს და პრაქტიკულად ყიდის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი და მისი ადგილობრივი (რეგიონული) ორგანოები.**

ახლა ის ვთქვათ, თუ **ვინ იქნება სახელმწიფო ქონების მყიდველი.** და თუ აქამდე პრობლემა მეტ-ნაკლებად გასაგები იყო, ამ სფეროში სრული ქაოსი სუფევს (იქნებ სწორედ ადვილად გასაგები ფაქტორების გამო). ამასთან, თუ აქამდე ჩვენი მსჯელობა, ასე თუ ისე, გარკვეულ სტატისტიკურ მონაცემებს და ძვალ-რბილში გამჯდარ, ჩვენი აზრით, სამართლიან მიდგომებს ემყარებოდა, აქ იწყება ცხოვრებისეული, ანგარიშგასაწევი, მკაცრი სინამდვილე.

თუ ვიხელმძღვანელებთ ელემენტარული სამართლიანობისა და სოციალური დაცულობის მოტივებით, რადგან „სახელმწიფო — ეს ჩვენ ვიყავით“ და ის, რასაც ჩვენ „სახელმწიფო ქონებას“ ვეძახით, ჩვენი (მოსახლეობის დიდი უმეტესობის) დუხჭირი არსებობის ხარჯზე შეიქმნა, სახელმწიფო ქონების მყიდველი უნდა ვიყოთ ჩვენ ყველა.

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა წლეულს, პროგნოზით, 5420 ათას კაცს შეადგენს. თუ მოსახლეობის ამ რაოდენობას გამოვაკლებთ 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს (რომლებსაც, იმედი მაქვს, წესიერი გზით ჯერ არ მოუსწრიათ რაიმე ფულადი სახსრის დაგროვება და, როგორც იტყვიან, ყველაფერი წინ აქვთ), დაგვრჩება 3840 ათასამდე კაცი. ვიყოთ გულახდილები და ისიც ვთქვათ, რომ მოსახლეობის ამ რაოდენობიდან, ალბათ, ორი მესამედი (დაახლოებით 65-67 პროცენტი) თუ იქნება ისეთი, რომელსაც **სურვილთან ერთად უნარი და ენერგია აქვს კერძო მესაკუთრის „მძიმე ჭაპანის“ გასაწევად.** ამრიგად, კერძო საკუთრების აქტიურ მსურველთა და მეწარმეობის უნარის მქონეთა რაოდენობა უკვე 2570 ათას კაცამდე შემცირდება, ანუ მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები (47 პროცენტი) გახდება (მეწარმეობის უნარის მქონე, მერწმუნეთ, გაცილებით ნაკლები იქნება). თუ საშუალო სტატისტიკური მონაცემებით ვიანგარიშებთ, ყოველ მათგანზე მოვა საპრივატიზაციო 1360 მანეთის საწყისი ღირებულებისა და 6200 მანეთის გადაანგარიშებული ღირებულების სახელმწიფო ქონება (პირველი ვარიანტით). სულ კი, თუ რესპუბლიკის ეროვნული მეურნეობის იმ დარგებს ვიგულისხმებთ, რომელიც ამ წერილის დასაწყისში ჩამოვთვალეთ, მაშინ ასეთი საშუალო-სტატისტიკური მაჩვენებელი ყოველ ერთ კაცზე, გაანგარიშებით შეადგენს საწყისი ღირებულებით 3900 მანეთს და გადაანგარიშებული ღირებულებით 14400 მანეთს (მეორე ვარიანტით).

თუ ეს ანგარიში ოცნების სფეროს არ განეკუთვნება, გადასახდელი არცთუ დიდი თანხები გროვდება და თუ სახელმწიფო შეღავათიანი სესხებით შეეშველება ხელმოკლე, მაგრამ მესაკუთრედ გახდომის სურვილის მქონე მყიდველებს, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რესპუბლიკაში მრავალი კერძო მესაკუთრე გვეყოლება. საკუთრება კი, როგორც პრაგმატიკოსები ამბობენ, ადამიანს თავისუფლებას ანიჭებს.

მაგრამ დავეშვათ მიწაზე და ორიოდე სიტყვა „ჩვენი“ სახელმწიფო ქონების რეალობაზე ვთქვათ. შემდეგ კი, ასევე რეალურ მყიდველებსაც შევეხოთ.

ჯერ — ქონების შესახებ. როგორც ცნობილია, ყოველი წლის დამლევს ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში იქმნება უძრავ-მოძრავი ქონების აღმწერი საინვენტარიზაციო კომისია „მიუდგომელი“ (უნდა გავიგოთ — მოუსყიდველი) სპეციალისტებისა და „დაუინტერესებელი“ (ე. ი. სხვაგან მომუშავე) პირების მონაწილეობით, რათა ინვენტარიზაცია სარწმუნო და ეჭვმიუტანელი იყოს. აღწერის მასალები აისახება საწარმოს წლიურ ანგარიშგებაში, რომელიც შემდეგ წარედგინება ზემდგომ, საბანკო, საფინანსო და სტატისტიკურ ორგანოებს. ის, რაც ჩვენ ამ წერილში ძირითადი ფონდების ღირებულებაზე ვილაპარაკეთ, მთლიანად ასეთი აღწერის მასალებს ემყარება.

მაგრამ სახელმწიფო ქონება (იგივე საზოგადოებრივი საკუთრება) ხომ კონკრეტულად არავისი არ არის და ჩვენი სოციალისტური ყოფის უკუღმართობა ჩვენი საზოგადოების საქმიანობის უკლებლივ ყველა სფეროში აისახა, მათ შორის სწორედ ამ საინვენტარიზაციო კომისიების მუშაობაშიც. ვინ იყო გამკითხავი, რომ ძირითადი ფონდების ჩამონათვალი მათ წინა წლების ნუსხებიდან (აღწერებიდან) გადაეწერათ ამ ქონების ვარგისიანობისა და არსებობის მიუხედავად.

ასე რომ, ამჟამად ის, **რასაც ჩვენ უძრავი სახელმწიფო ქონების ღირებულებას ვუწოდებთ, რეალურად, სულ ცოტა 15-25-პროცენტიანი ცდომილებით უფრო ნაკლებია საბუღალტრო დავთრებსა და ნუსხებში ჩაწერილ ღირებულებასთან შედარებით.** ეს შეეხება შენობებს, დაზგებს, დანადგარებს, მოწყობილობას, ერთი სიტყვით, ძირითადი ფონდების მთელ პასიურ და აქტიურ შემადგენლობას.

ასეთი მდგომარეობა აუცილებლად გამჟღავნდება ამ ქონების გაყიდვით, რადგან **მყიდველი ყიდულობს კონკრეტულ და ვარგის ქონებას და არა აღწერის ნუსხებს.** აქ უკვე ნათლად წარმოჩნდება თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს საწარმოთა ანგარიშგებაში ასახული ქონება.

შედარებით რეალური იქნებოდა ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების და მისთანათა აღწერის სურათი, მაგრამ ამჟამად, როდესაც ყველა ადრინდელი ეკონომიკური კავშირი მოიშალა და საწარმოო მარაგები მინიმუმამდე შემცირდა, რაც გადარჩა, — კანონიერად თუ უკანონოდ კოოპერატივებსა და სხვა საბაზრო სტრუქტურებში გადაინაცვლა, — ქონების ამ ნაწილის ოდენობა, შეიძლება ითქვას, უკვე ანგარიშში ჩასაგდები არ არის. ეს ერთი.

მეორეც, ჩვენ ხშირად გვესმის ე. წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ შესახებ. სანამ მის არსებობას საფრთხე არ ემუქრება, იგი სახელმწიფო რესურსების ანგარიშზე სამომხმარებლო ბაზარს ავსებს და მყიდველთა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს (მყიდველისათვის კი არსებითად სულ ერთია, მისი გადახდილი ფული კერძო პირის ჯიბეში მიდის თუ სახელმწიფო ხაზინას ავსებს. მისთვის მთავარია საქონლის ფასი და ხარისხი). მაგრამ საკმარისია, სახელმწიფო ეკონომიკის ამ ალტერნატიულ და აქტიურ ნაწილს, რომლის ხვედრი წილი სულ ცოტა 25-35 პროცენტს აღწევს, მცირედი საფრთხეც კი დაემუქროს, ის თავს დაიცავს გააფთრებით (რეკეტით, საბოტაჟით და ა. შ.). აი, ასეთი ვითარება (ანუ საფრთხე ჩრდილოვანი ეკონომიკისათვის) იქმნება ამჟამად, როდესაც იწყება სახელმწიფო ქონების (წაიკითხეთ: ჩრდილოვანი ეკონომიკის ქონების) პრივატიზება. ამასთან, იწყება სწორედ ისეთი დარგებით, რომლებიც ყველაზე მეტად არის გაჯერებული „ჩრდილოვანი“ სტრუქტურებით.

სწორედ ასეთი ვითარების გამომხატველია ის ლოზუნგი, რომელიც ამჟამად ხშირად და ხმამაღლა გაისმის: სახელმწიფო ქონება უნდა მიეყიდოს იქ მომუშავე შრომით კოლექტივს! ან ასე: სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას უპირატესობა უნდა მიეცეს მის შრომით კოლექტივს. ნახეთ, რა დემოკრატიულია: „შრომითი კოლექტივი“, „იქ მომუშავე“, თანაც წინასწარ პირობაც არის დაყენებული: მიეყიდოს საბალანსო ღირებულებით (წაიკითხეთ: ყველაზე დაბალ ფასად, იაფად), ნაწილი — უფასოდაც კი! ამას ითხოვს უკლებლივ ყველა საწარმო, მათი ზემდგომი ორგანოების (სამინისტროების) ჩათვლით.

საწარმოს გათავისების ერთ-ერთი მეთოდი იყო და რჩება იჯარა. შრომითი კოლექტივი იჯარით იღებს „თავის“ საწარმოს 8-10 წლით და სახელმწიფო დავალების (რომელიც სულ უფრო მცირდება) შესრულების შემდეგ დარჩენილ დროში და საწარმოო სიმძლავრეებით თავისთვის მუშაობს. უფრო მეტიც, თუ საიჯარო ქონება მიღებული აქვს გამოსყიდვის უფლებით, ეს ნიშნავს თითქმის უმტკივნეულოდ, თითქმის უფასოდ (სახელმწიფოს ხარჯზე) სახელმწიფო ქონების შეძენას. ეს წესი ამჟამად აკრძალა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტმა, მაგრამ არაფერია ცნობილი იმ საიჯარო ხელშეკრულებათა ბედ-იღბლის შესახებ, რომლებიც დღემდე ურთიერთგარიგებით გაფორმებულია შრომით კოლექტივებსა და მათ ზემდგომ ორგანოებს (სამინისტროებს) შორის.

არადა, თუ ზემოთქმულს დავუბრუნდებით, გარეგნულად თითქოს არაფერი უკანონო იმაში არ არის, რომ საწარმო მიეყიდოს მის კოლექტივს. მუშაობს კაცი ქარხანაში და უნდა იქვე დარჩეს, ისე მიიჩვია იქაურობას, თავისი ჰგონია, თუ ყიდვაა — თვითონ იყიდის. მერე რა, რომ ეს საწარმო სახელმწიფო ქონებაა და მუშაც და დირექტორიც დაქირავებული პირებია და ხელფასს იღებენ, თუ საჭიროება მოიტანს, შეიძლება ამ საწარმოებიდან გათავისუფლდნენ და სხვაგან დაიწყონ მუშაობა, რომ ეს საწარმო ისევეა მათი, როგორც ყველა დანარჩენის, ვინც იმ საწარმოში არ მუშაობს (იგი ხომ, როგორც თავში ითქვა, მთელი ხალხის დუხჭირი ცხოვრების ხარჯზე შეიქმნა).

„საწარმო — მის შრომით კოლექტივს“ — ეს წინადადება ინტენსიურად მუშავდება არა მარტო ძირეულ შრომით კოლექტივებში, არამედ მათ ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოებშიც — სამინისტროებში, უწყებებში, სადაც აქტიურად იქმნება დარგის პრივატიზების სამსახურები, მუშავდება პროგრამები და ა. შ. უფრო მეტიც, ოფიციალურ დოკუმენტებშიც კი (ნორმატიულ აქტებში) ფიგურირებს დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას „უპირატესობა მის შრომით კოლექტივს ეკუთვნის, თუ მოისურვებს ამ ქონების შესყიდვას“. ეს „შრომითი კოლექტივი“ კი ფორმალურად ნახევარზე ცოტათი მეტია მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელიც ჩვენი ანგარიშით, შეიძლება ჩაება პრივატიზაციის პროცესში (ალბათ გახსოვთ მათი საექსპერტო რიცხვი — 2570 ათასი კაცი). ფორმალურად იმიტომ, რომ სინამდვილეში ყოველ საწარმოში არსებობს ადამიანთა ლოკალიზებული ჯგუფი (ხელმძღვანელობა პლუს საქმიანი ბირთვი), რომელიც ფაქტობრივად ყიდულობს მოცემულ ობიექტს (ზოგჯერ „შრომითი კოლექტივის“ სახელით).

მოსალოდნელი კოლიზიების თავიდან ასაცილებლად გამოსავალი მოიძებნა იმით, რომ პრივატიზებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს სააქციო სისტემა. შეფასდება საწარმოს ქონება, მისი ღირებულება განაწილდება აქციებით, ვთქვათ, ათასმანეთიანებით, რომლის ერთი ნაწილი მიეყიდება „შრომით კოლექტივს“, მეორე ნაწილი — გაიყიდება თავისუფალ ბაზარზე, შესაძლოა მესამე ნაწილი (გააჩნია საწარმოს) საკონტროლო პაკეტის სახით დაიტოვოს სახელმწიფომ. ეს არის სახელმწიფო ქონების პრივატიზების ერთ-ერთი მარტივი სქემა. არსებობს სხვანაირი წესებიც, მეთოდები, ფორმები. მაგრამ „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ მხრივ ერთ-ერთი დიდი საფრთხე ისიც იქნება, რომ თუ ცნობილი გახდება მოცემული საწარმოს პრივატიზება, ვთქვათ, აუქციონით (თავისუფალი გაყიდვით), ამ საწარმოში ქონების გარკვეული ნაწილი მასობრივად გაიძარცვება, ქონებას წაიღებს რეალური მესაკუთრე. გასაყიდი, შეიძლება, შიშველი კედლებიღა დარჩეს. ეს საშიშროება რეალურია.

საბოლოო ანგარიშით საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ მისთვის ცნობილი, მისთვის დამახასიათებელი და მისაღები გზებით წარიმართება. ყოველგვარ ხელოვნურ ბარიერს ამ გზაზე ცხოვრება უკუაგდებს და სწორედ ამიტომ ეს პროცესი სოციალურად ფეთქებად ხასიათს ბოლომდე შეინარჩუნებს. ჩვენი ვალია ამ პროცესს მივცეთ რეგულირებადი ხასიათი და მაქსიმალურად გავითვალისწინოთ რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესები, რათა სახელმწიფო ქონება დარჩეს უნარიან მესაკუთრეს და მეწარმეს, ვისაც ძალაც და ნიჭიც შესწევს ამრავლოს ქართველი ხალხის ეკონომიკური სიძლიერე.

● წერილი აჭარიდან

დაისახა იმედის გზა

ბევრი ახსოვს საქართველოს მომხდურთა თარეშიც და შინააშლილობაც, დაცემაც და ამაღლებაც, გაუტანლობაც და თავდადებაც. მაგრამ ისეთი, ახლა რომ ტრიალებს ჩვენს თავს — ერის ისტორიას ალბათ არ ახსოვს. აღარ ვინდობთ არავის და არაფერს, ვახარებთ მტერს (იცოცხლეთ, რამდენი გვყავს ასეთი!) გულს ვუკლავთ მოყვარეს (მადლობა ღმერთს, არც იგი გვაკლია!). შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, თითქოს გამოსავალი აღარაა, გამამხნევებელი ხმა არსაიდან ისმის... ამ უთავბოლობის ჟამს, თითქოს ყველა ვწუხვართ და ყველა ვირჯებით, მაგრამ ვედრება ამაოა, საქმე — უშედეგო.

ასეთი ძნელბედობის დროს, თითქოს გამოჩნდა იმედის სხივი, გამოჩნდა კაცი — ჩვენი სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი და ფიქრი ფიქრთაგანი. კაცი, რომელმაც დროის მცირე მონაკვეთში მრავალი მსოფლიო პრობლემა გადაწყვიტა. მისთვის ჩვეული პოლიტიკური ალღოთი, მოვლენათა ვითარებაში მეცნიერული წვდომით შეუძლებელიც შეძლო. ახლა კი უკვე დამსახურებული მშვიდი ცხოვრების ნაცვლად, ყურად იღო საქართველოს სხვადასხვა ინტერესების მქონე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების ერთობლივი თხოვნა და, ნახა რა თავისი ქვეყანა აწეწილი და მშფოთვარე, უარყო ყოველგვარი სხვა შემოთავაზება, მშობლიურ ხალხთან ერთად დადგა და განაცხადა: „მე ჩამოვედი იმისათვის, რომ ჩემს ხალხთან ერთად ვიშრომო, ვილაწრო“. გამოიძებნა ახლანდელ ეტაპზე მართვის აუცილებელი და საუკეთესო ფორმა — სახელმწიფო საბჭო. არც პირველმა დამაიმედებელმა შედეგებმა დააყოვნა. დაისახა პოლიტიკური სტაბილიზაციის ტენდენციები.

თუმცა უაღრესად დაკავებულია, ამ დღეებში ბატონი ედუარდ შევარდნაძე აჭარას ეწვია. უდიდესი ერთსულოვნება და მხარდაჭერა სუფევდა ამ რეგიონის მშრომელებთან, ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტ-ახალგაზრდობასთან, პროფესურასთან, აჭარის საზოგადოებრიობასთან შეხვედრებზე, რომლებსაც გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის საქართველოში დაბრუნება შექმნილი რთული, საბედისწერო ვითარების ნორმალიზაციის, ეკონომიკური კრიზისის დაძლევის, ერის კონსოლიდაციის ძირითად გარანტად მიაჩნიათ.

ძვირფასო თანამემამულენო, ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ ამოვუდგებით მხარში, როგორ დავივიწყებთ წარსულის წყენას, უნებლიე ტკენას.

შედარებითმა სიმშვიდემ და სტაბილურობამ ჩვენთან განაპირობა რამდენადმე უკეთესი ეკონომიკური პირობები. ამიტომაც ვბედავთ მოგმართოთ მოწოდებით — დავუჭიროთ მხარი სახელმწიფო საბჭოს იმ წამოწყებებს, რომლებსაც შეუძლია გამოიყვანოს ერი შექმნილი დუხჭირი მდგომარეობიდან.

ახლა ურთიერთბრალდებების, პირადი ამბიციების, გაუმართლებელი პროგნოზირების, უპასუხისმგებლო განცხადებების, მანიფესტაციების და მიტინგების დრო აღარ არის. შექმნილი სიტუაცია მოითხოვს სიტყვას აწონილს, საქმეს მოზომილს.

რომან ახობაძე, ხარიტონ ახვლედიანი, ვასილ აპიანცი, ირინა ბაბილოძე, ავთანდილ ბაკურიძე, გულნარა ბასილაძე, დემურ ბერაძე, ჯემალ ბერიძე, დაუთ გოგაძე, ალიოშა გაბრონიძე, სვეტლანა გრომოვა, ანზორ დიასამიძე, დურსუნ დიასამიძე, ვაჟა დუმბაძე, მამია ვარშანიძე, ნური ვერძაძე, ნინა ვეჩერნინა, შოთა ზამთარაძე, ვახტანგ ზოიძე, შოთა ზოიძე, შოთა თურმანიძე, ხასან ინაიშვილი, არჩილ იუხნელიძე, ემილ კრუპენიკი, ნიკოლოზ მაზმანიძე, ბიძინა მახარაძე, მიხეილ მახარაძე, ხასან მეგრელიძე, არჩილ მიქელთაძე, ბიძინა ორაგველიძე, ნუნუ პერტია, ალექსანდრე სამსონია, გიორგი სტურუა, აბელ სურგულაძე, ნადია სურმანიძე, ედუარდ სურმანიძე, კობა უსტიაშვილი, ნაზი ფალავა, ჯემალ ქათამაძე, ზურაბ შავაძე, გული შერვაშიძე, დავით შიოლაშვილი, ალნერ ჩინჩლაძე, ნოდარ ცეცხლაძე, გივი ციბაძე, ეთერ ცივაძე, ჯემალ ძნელაძე, ფრიდონ ხალვაში, შოთა ხოლუაშვილი, შოთა ჯაფარიძე.

რეპლიკა

სპეციალიზებული?!

ანუ როცა აზრა სხვაა, საქმე — სხვა

ახლაც კარგად მახსოვს როგორი გაოცებულ-შეცბუნებული დარჩა ჩემი მეგობარი, როდესაც ამ წელიწად-ნახევრის წინ მოსკოვში, არბატზე მდებარე თაროებგამოფხეკილი გასტრონომის ცარიელ დახლ-მაცივარში სასურსათო პროდუქტების ნაცვლად... სპორტული ქუდები (?!) იხილა.

დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში აღმოვჩნდი მეც, როდესაც თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე, თამბაქოს სპეციალიზებულ მაღაზიაში თითქმის ყველაფერი ვნახე, გარდა... თამბაქოს ნაწარმისა: ძეხვი, კომპოტი, შოკოლადი, ყავა, ხილის წვენი და ა. შ.

— ეს კვლავ თამბაქოს სპეციალიზებული მაღაზიაა, თუ გასტრონომად გადააკეთეს? — ვკითხე გამყიდველს.

— არ გადაუკეთებიათ, მაგრამ თამბაქოს ნაწარმი არა გვაქვს,— მოკლედ მიპასუხა.

განა რა ისეთი გამოტენილია ჩვენი სასურსათო მაღაზიები, ძეხვი თუ სხვა გასტრონომიული ნაწარმი იქ რომ არ გაიყიდოს-მეთქი, მინდოდა შევპასუხებოდი, მაგრამ...

იქნებ ამ საყოველთაო დეფიციტისას სიგარეტი საერთოდ არ მზადდება საქართველოში?

თუ ასეა, საიდანა აქვთ იგი მეტროპოლიტენის სადგურებთან, საკოლმეურნეო ბაზრებსა თუ სხვა ხალხმრავალ ადგილებში მოკალათებულ გადამყიდველებს, გამოულევლად რომ უწყვიათ ჩანთებითა და ყუთებით?

და კიდევ, ვისაც ეხება, იქნებ გვიპასუხოს: ჯერ ერთი, — საბაზრო ეკონომიკის თანდათანობით დამკვიდრებასთან დაკავშირებით ხომ არ შეიცვალა მნიშვნელობა სიტყვა „სპეციალიზებულმა“? და მეორეც, სად მიდის თუნდაც ის ორი მილიონი ცალი ფილტრიანი და ხუთი მილიონი უფილტრო სიგარეტი, რომელსაც, თბილისის თამბაქოს ფაბრიკა „ქართლის“ დირექტორის გრიგოლ ყორდანიას სიტყვებით, ეს საწარმო ყოველდღიურად „ამზადებს“?

რუსლან რუსია.

მესხეთის ამბები

ნუ ეძებთ პრესის ფურცლებზე ჩვენს კუთხეს

ჯერ ის ვიკითხოთ: სად არის რესპუბლიკური პრესა? თბილისიდან ჟურნალ-გაზეთები ძნელად ან საერთოდ ვერ აღწევს ჩვენამდე. ადრესატები ამაოდ ელიან ხელშეკრულებით გაფორმებულ ჟურნალ-გაზეთებს. ახალციხეში არ მოდის „თბილისი“, არ არის „სოფლის ცხოვრება“, „ახალგაზრდა ივერიელი“, არც „განათლება“ და ა. შ. გვეგონა, ამ გაზეთებმა საერთოდ შეწყვიტეს არსებობაო, საბედნიეროდ, ასე არ ყოფილა. გაზეთები გამოდის, იყიდება დედაქალაქის შესაბამის ჯიხურებში, ჩვენამდე კი არ აღწევს.

გასაგებია, ყველაფერი გასაგებია. დამნაშავეა დეფიციტი! ისევ საბედნიეროდ, სისტემატიურად რომ ვღებულობთ, ეს ერთადერთი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკაა“, მაგრამ რა... კარგა ხანია გაფაციცებით, ამაოდ ვეძებთ ჩვენს რეგიონს მის ფურცლებზე.

მთავარია სიმშვიდე და წესრიგი

ისევე, როგორც სრულიად საქართველოში, უკანასკნელ ხანს, ახალციხეშიც გართულდა კრიმინოგენული სიტუაცია. ამას ზედ ერთვოდა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მოუქნელი მუშაობა. ახლა აქ ხელმძღვანელობა შეიცვალა. მდგომარეობაც — შესაბამისად.

ამას წინათ სამართალდამცავი ორგანოების საკოორდინაციო საბჭოს სხდომამ, რომელსაც რაიონის პროკურორი ბატონი გოჩა მარტინიძე უძღვებოდა, იმსჯელა, თუ რამდენად აქტიურად მიმდინარეობს ბრძოლა დანაშაულობათა აღსაკვეთად. აღინიშნა, რომ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებელი ვერ არის. შარშან (1991 წელს) ჩადენილი 160 სისხლის სამართლის დანაშაულიდან გახსნილია 40 პროცენტი, რაც საგანგაშოა. მიმდინარე წელს კი 34 სისხლის სამართლის დანაშაულიდან — მხოლოდ 20.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე დაისახა ღონისძიებები რაიონში სამართალდარღვევის აღსაკვეთად.

თეატრი კვლავ ელის მაყურებელს

სუსხიანმა, ძნელმა ზამთარმა და ამაზე ზედ დართულმა ელექტროენერგიის დეფიციტმა ათასი პრობლემა გაუჩინა საამისოდ მოუმზადებელ ქალაქს. შეჩერდა ბევრი ორგანიზაციის მუშაობა. ჩაბნელებული კულტსაგანმანათლებლო ობიექტები მიჩუმებული და გამოკეტილი იყო.

გაზაფხულმა სითბოსთან და სინათლესთან ერთად იმედიც მოიტანა. გამოცოცხლდა ხალხი, ქუჩებში გამოჩნდა რეკლამები, ამოქმედდა კულტურის დაწესებულებები. მესხეთის სახელმწიფო თეატრმაც განაახლა მუშაობა. მიმდინარე სეზონში მაყურებელმა ნახა ლასლო დიურკოს „ელექტრა, ჩემო სიყვარულო“, რომელიც დადგა რეჟისორმა იგორ საბომ, მუსიკალურად გააფორმა გ. თევდორაშვილმა, დამდგმელი მხატვარია ავთანდილ გოგოლაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლია სოლუაშვილი, კულტურის დამსახურებული მუშაკი ოთარ აწყურელი, მსახიობები ზაირა გაჩლავაშვილი, დარეჯან ბერიძე, ელგუჯა გოგიძე, რაულ ბარბაქაძე და იაგო ქავთარაძე.

იზოლდა წიქარიშვილი,
რაიონულ გაზეთ „სამცხის“ რედაქტორის მოადგილე.

ახალი ლექსები

ჯანსუღ ჩარკვიანი

გაფრთხილება
(ბუნქეროლოგიის გამო)

ასე განვმარტავთ ვამპირს,
სისხლისმსმელია ვამპირი,
მოსწყდება ხრიდილის ნაპირს,
[illegible] თვალით და ცხრა პირით.

ცამი ჩვენი დგას ღუზის,
სული შეიხობს ვაჟრილი,
იმედით [illegible] ამრიდს,
მეომრები ამრილი.

ხმა მესმის მამა-პაპის,
(წიგნებს ჩრდილიდან ნაპირი),
მიწის უფრთხილდით ვამპირს
სისხლისმსმელია ვამპირი!

1990 წ.

არა ძმათაგან...

ახლა რა მახსოვს?
არც არაფერი...
ხასთ გაფრინდა
ფიქრი პოეტის?
გამოშველებული
დროში ცხრაფერი,
ვით ოქროსფერი
ფოთლები.

თითქოს, მკვდარი ვარ
და მამარით,
რომ ლოდი მაწვება
ქვევის მაგიერ,
შორით რომ მიმზერს,
პაპის სწავლა.
შემომზერდნენ და
[illegible].

[illegible] სიკვდილამდე
ისე გამყვება,

თითქოს მამულში
მეც არ მეთესოს,

საუბედუროდ,
მე არ წამიყვანს,
ას ცრემს ჩვენში
საუკეთესოს.

ცის ტატნობს შესჩქეფს
თვითმკვლელის სისხლი,
დასჭილი მაღნის
ცრემლმა გამთანგა.

ღმერთო, გამხადე
სიკვდილის ღირსი
ყველასგან, მაგრამ
არა ძმათაგან!

1992 წ.

მოღალატის სახელი

ნუ აყვავებულს
შეუძახებ,
თუ გინდა გახმეს,
ადგილად არ ყრის
სიტყვა მართალთა,
ვილაცა ბრიყვი
მოღალატის
დაგარქმევს სახელს,
ხალხსაც რა უნდა? —
თუ დაგარქმევს,
მორჩა, გათავდა!

1991 წ.

ქვეყანა

სიტყვა მიეცა
მაუზერიდან წამოსულ ნაგანს,
მოკლედ ნუ გამოყრით
სარდაფიდან
მუშკისა და ნაგანს,
ვინ რას დასთესავს, ღმერთმა
იცის
ვინ როდის დარგავს,
სხვისი ქვეყნისა რა მოგახსენოთ,
ჩვენი ქვეყანა ქვეყანას არ
ჰგავს!

1991 წ.

თანამედროვე ბაზარი...

დღეს ქართველთა ბაზარი,
გაბლავთ უზარმაზარი,
ბაზარს ცეცხლი უკიდია,
დახლებს გააქვთ ზაზარი.

რაც ძვირია, ძვირია,
არის ბევრი მუქთობაც,
მწვანილშია თაღრობა,
ურიკებზე — ქურთობა.

ილგანელი არა ჩანს,
„მეუდა“ მოდის ხომხის,
ხუთ თუმნამდე აქაშა
ფასმა „პოლის“ ჯოხის.

კაცზე მეტად ფასობს
ფასი ერთი გოჭის,
და გონებით ვილაც
გოჭის რითმას მოჭრის.

ცხრათუმნიან ხორცთან
ხუთი თუმნის ძვალი
იმზირება მორცხვად,
როგორც პატარძალი.

ეს რა ლაბლი გვიდგას,
რა კომბოსტო — ჭარხლის,
ზედი უკუღმართად
დაბრუნებულ ჩარხის.

რაც ძვირია, ძვირია,
არის ბევრი მუქთობაც,
მწვანილშია თაღრობა,
ურიკებზე — ქურთობა.

ყველა წუთი დაღლილი
კაცის ფართიფურთია,
ცრემლი, ხევდა, ნაღველი
რაც ნაღდია — მუქთია.

გთხოვთ, მიირთვათ, ტაფაზე
იწვის „ოსტრად“ ნამუსი,
შორით კვდება სიცილით
დიდი ნოსტრადამუსი.

იყიდება მუქთად —
ქალბატონთა ლანძღვა,
კაცი მიდგა დახლთან
და გონებით გაძღა.

აბა, აქეთ გინება,
აკივლებულ ქალის,
აქეთ, ფურცლი ქართული —
უზენაეს კარვის.

აბა, აქეთ ხიები,
დასაშვერთა ხიები,
მუქთად ხელისმოწერა,
მუქთა კომისიები,

კაპიკ-კაპიკ დავყიდეთ
ისეც მუქთა ნამუსი,
მოდის უნამუსობა
ტივით და „იკარუსით“.

იყიდება სოფელი,
იყიდება ქალაქი,
მეპურპლეთუხუცესის
სკამს ყიდულობს დალაქი.

იყიდება სიმღერა,
იყიდება ტირილზე,
ქვაბლში ცრემლად ილვრება
გაყიდული პირიმზე.

დიახ, ნებით რაც ხდება,
ხდება ძალისძალათი,
ალესილს და სისხლიანს
ნაჯახს ყიდის ჯალათი.

აქეთ, აქეთ, კარგებო,
აქ ერთმანეთს ჰყიდიან,
აქ, სუყველა მტერია,
აქ, სუყველა ფლიდია.

გაყიდული წინაპრის
კამაკიის ფასი,
აქეთ დახლზე ბლეფია,
იქით კიდევ — ფარსი...

მიდი-მოდის ბაზარი,
უკიდია ცეცხლი,
აღარავის არ ახსოვს
ოცდაათი ვერცხლი.

მუქთად დედის გინება,
მუქთად წყევლა დედის,
ვისა შურს, საქართველოვ,
ნეტა შენი ბედის?

1991 წ.

25 მარტი, ვერის ბაღში...

ედემსა შიგან მოჯარდნენ
მძულვარებისა წყლითა,
რაც პირსა ბილწი ამკობდის
ვერ ხელოვნობდის ენითა.

დაფხრიწნეს ტყავნი ვეფხისა,
დიდისა [ალმაფრენისა],
ჰავჰავაძისა კარიბჭეს
დაასხრნენ ზედან ფრენითა.

უჩანდის ძველნი ფოხანნი —
ფერითა, ამაზრზენითა,
დალრეჯილობას შლუხობდნენ
მოდერებულის ყელითა.

ჯოხარაულთა შუბლი
ხევხუვობს წიგნთა ზღვითა,
ხარნი, ძროხანი მოირჩნენ
ზმუილითა და რქენითა.

ვარდსა აქნობენ დიაცნი,
გამგზავრებულის მზერითა,
„მიჯნურიც მაჯან გვიქვიან
არაბულითა ენითა“.

1992 წ.

ხმა ერის გასაგონად

ცეცხლში დამწვარი სიტყვა

ლია სტურუა

მე მგონი, რომ სიტყვა აღარ ესმით. სიტყვამ დაკარგა ძალა. სიტყვა უმწეო ლიკოკინასავით ძევს ადამიანების წინაშე, რომლებიც მას ნემსებით ჩხვლეტენ, ჯავშანს უმტვრევენ, და იციან, რომ არც ხელის შებრუნება შეუძლია, არც გაქცევა, არც ყვირილი. ამ სიმართლეს ვერანაირი ლოგიკურად დასაბუთებული სიმართლე ვერ დაუდგება წინ, უფრო მეტიც, მაშინვე უზნეობად [illegible]. ამ შემთხვევაში ერთადერთი მართალი შეიძლება იყოს კაცი, რომელიც ნიჟარას ხათუთად აიღებს და სახლში, ბაღლამში გადამალავს. ის ამ წუთში ლიკოკინას იდეაზე კი არ ფიქრობს, რომელსაც ვერც ქვით მოკლავ და ვერც ნემსის ჩხვლეტით, არამედ, უბრალოდ, სიცოცხლეს უნარჩუნებს ღვთის გაჩენილს, სულიერს.

ძნელია წიგნის დახევა და დაწვა. პოეტი-კაცი არც უნაკლოა და არც უცოდველი, მაგრამ სიტყვასთან ძნელ ომში და ურთიერთ სიყვარულში იგი ხარჯავს უკეთესს, რაც კი აბადია მის სხეულს, ტვინს, სულს, თითქოს, სარკეში თვითონ კი არ იხედება, არამედ მისი ორეული — ანგელოზი, ამიტომ სიტყვასთან, ლექსთან, წიგნთან მტრული დაპირისპირება იგივეა, რაც უმწეო ლიკოკინას ან ხეზე [illegible] ჭიაყელის მოკვლა. ორივე მშვენიერია და ცამდე მართალი. არა უბრალოდ მართალი, არამედ უზენაესად, რეალურ ჭეშმარიტებამდე კი ორა, ღვთაებრივ ცამდე.

დახეულ-დამწვარი წიგნი ყოველთვის მსხვერპლია, მისი მტერი — ჯალათი, და რაც უფრო მეტად სულის ჯალათი მსხვერპლი, მით უფრო ამტკიცებს მის ძალას და სიმართლეს, რადგან სამყარო შექმნის დღიდან მოედნებზე გაჩაღებულ კოცონებში ყოველთვის მართალი და ნათელი კაცი იწვის, ხოლო კოცონს არაფერს ინკვიზიცია, ფაშიზმი, ფანატიზმი, სიძულვილი...

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა კოცონის გამჩაღებელი „ინდობს“ პოეტს, ოღონდ, ცდილობს თავისებურად გამოიყენოს იგი, საკუთარი ნება მოახვიოს თავს. წვრილმანებულ, გალოთებულ, ურჩ კაცს ვერ ერევა, რადგან არ იცის [illegible], სამაგიეროდ, ლექსზე აცდენს ძალადობას. გალაკტიონ ტაბიძეს ასეთი ლექსი:

„ამ მიწის თავზე [illegible]
[illegible],
კარგად [illegible],
და მეგობრებმა მე მეტი მტრებმა,
არ ვიცი მტრობა“.

ერთ-ერთ გამოცემაში საბჭოთა ცენზურამ ასე „გაასწორა“ ბოლო ორი სტრიქონი:

„არ მეგობრებმა მე ჩემმა მტრებმა
და ვიცი მტრობა“.

ე. ი. პოეტი, სილამაზის [illegible] და ვარდების მღოლოზე(?) [illegible] ხლოვა, სიძულვილის, ლამის მკვლელობის იდეა ჩაუდო ლექსში, რომელიც ღმერთის ნაკარნახევი იყო.

ახლა ხშირად მეკითხებიან მხატვრული სიტყვის [illegible] გაუფასურების დროში: — ნუთუ, მაშინ ხალხს ესმოდა გალაკტიონი? ესმოდა იმას, ვინც იცოდა, რომ „პირველითგან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი“. ვისაც არ ესმოდა, მოწიწებითა და პატივისცემით ექცეოდა იმ კაცს, რომელსაც შეეძლო ხავერდის ყდაში ჩადებული სქელტანიანი წიგნი დაეწერა. იმდროინდელი არ არის ეს ლექსი:

„[illegible] ქურაში [illegible]
[illegible]
და [illegible], ეს [illegible]
[illegible] წერილი“

„სიტყვის მწერალს“ პატივს სცემდა ხალხი, მისი გაგება არ უნდოდათ ჩინოვნიკებს, მისსავე უნიჭო კოლეგებს, მისი პოეტური [illegible] „ლურჯი ექსცესებით“ შეწუხებულ მთავრობას.

დღეს „ხალხის“ ცნება გაურკვეველი და ბუნდოვანი გახდა. ქუჩაში შეკრებილ ყველა ჯგუფს, გაბოროტებულს, ისტერიულს და, რაც მთავარია, ამ უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში უსაქმურს (ვინ აჭმევს მათ შვილებს პურს?) არ შეიძლება, ძალიან ზოგადად, ხალხი დაარქვა. მაშინ ისინი ვინღა არიან, ვინც დღე და ღამე მუშაობს, საქმეს აკეთებს?

„რაცა [illegible],
[illegible],
[illegible].
[illegible],
[illegible]“

სხვის შექმნით [illegible] ერთ-ერთი მიზეზია, ალბათ. რა თქმა უნდა, წელებზე ფეხის დადგმას, ლექსის წერას, თიხის ზელს, ხვნა-თესვას, ლაბორატორიებში ჩაკეტვას, ქუჩაში სიარული, ენამჭევრობა, მაღლის ყვირილით სოფლის აშენება სჯობს, და იოლი სახელის მოხვეჭა, რუსთაველი კი ფილოლოგებმა იკითხონ და ბალიშის ქვეშ ამოიდონ, სანამ ისიც არ დაუწვავთ.

მაგრამ ამ ხალხს რა ვუყოთ, ვინც, ვიმეორებ, დღე და ღამე შრომობს, დილის ხუთ საათზე დგება, რომ ბავშვს რძე უყიდოს, ექვსზე თუ ადგა, შეიძლება, აღარ მოუწიოს, შაქარს და კარაქს კი ისეთი ფასი დაედო, რომ საკუთარი თავისთვის ვერ იმეტებენ და ბავშვებისთვისაც ვეღარ ყიდულობენ უკვე, და რა არის საქართველო, თუ არა ეს ხალხი და მათი შვილები, რომლებიც ან დაიხოცებიან, ან დისტროფიკები და მახინჯები გაიზრდებიან ფიზიკურადაც და სულიერადაც. განსაკუთრებით მაშინ, როცა მათი სულის საზრდო ცეცხლში იწვის, ხოლო გარშემო ფერხული გაუმართავთ და ყვიან — აჭული, არული კუდიანებს!

ერთი ბავშვის ცრემლად არ ღირს არანაირი იდეა და, მით უმეტეს, უამრავი ბავშვის სიცოცხლე. მაგრამ სიტყვა არავის ესმის. ერთადერთი უზნეო ფრაზა ქცეულა ჩვენი ცხოვრების ლაიტმოტივად: — რა დროსია, რა დროს სწავლაა, რა დროს მუშაობაა, რა დროს ხელოვნებაა?!.

იქნებ, ისევ მწერალმა სცადოს [illegible] სიტყვის მხატვრული ღირებულება, მისი იდუმალი ძალა, იქნებ, იმას მაინც მიაღწიოს, რომ ადამიანებს, რომლებსაც საქმისთვის ზურგი შეუქცევიათ, მშობლიურ ქართულ ენაზე აზრის გამოხატვა ასწავლოს და იმავე ენაზე გამოთქმული აზრის სწორად მოსმენა, მაგალითად, ასეთის: — რა დროს ომია, რა დროს მძულვარებაა?

მაგრამ ჩვენ იქამდე მივედით, რომ, შეიძლება, ამაზეც მიპასუხონ:

— რა დროს ქართული ენა და აზრის გამოხატვაა?!

რა ეშველება ამას? მე ნახევარი საქართველოსგან განსხვავებით პოლიტიკოსი არა ვარ და ისევ ქართულ ლიტერატურაში [illegible] შველას. ნიკო ლორთქიფანიძე ამბობდა, რომ უამრავი უძველესი ერი გადაშენდა: რომაელები, რომლებიც შესანიშნავი მეომრები იყვნენ, ფინიკიელები — ჩინებული ვაჭრები, ძველი ბერძნები — მშვენიერების კულტის მსახურები, ჩვენ იმიტომ მოვედით აქამდე, რომ მეომრებიც ვიყავით, ვაჭრებიც და მშვენიერის კულტის მსახურნიც. იქნებ, გავიხსენოთ ეს სიტყვები და არ მოვიკლათ საკუთარი თავი. მაგრამ გახსენება იმისი შეიძლება, რაც იცი. ვიღას ახსოვს ნიკო ლორთქიფანიძე, როცა წიგნების მაღაზიების თაროები წერა-კითხვის უცოდინარი მწერლების მიერ თარგმნილი და დაწერილი დეტექტივებით აივსო, ბესტსელერებით: „სტალინის შვილი“, „ლავრენტი ბერია“, „სექსის საიდუმლოებანი“ და სხვა. მართალია, ჩვენს გამომცემლობებს თავის შენახვა სჭირდებათ, ფული კი სწორედ ამ კატეგორიის ლიტერატურას მოაქვს, მაგრამ კაპიტალიზმზე გადასვლის უმძიმეს ხანაში ხალხის სულს რამენაირად თუ არ გავუფრთხილდით, შეიძლება ჩვენი ერის არსებობას საფრთხე შეექმნას ეთნიკურ ჯგუფად, ტომად გადაქცევისა, რადგან ერი სულიერი კულტურის გარეშე არ არსებობს. სულსაც თავისი რძე სჭირდება და იმასაც ნუ მოვუსპობთ. ჯერ კიდევ როდის, წმინდა მამები გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები, რომლებიც ბიბლიას თარგმნიდნენ, [illegible] კომენტარს ურთავდნენ მას, რადგან „ჩვენი ხალხი ჩჩვილია და მას ჯერ რძითა და მხალით კვება სჭირდებაო“. ასეთ სიყვარულს მკითხველის მიმართ დიდი სიკეთე, მოთმინება და ტალანტი უნდა. „ხალხს აწუხებს ესთეტური წყურვილი და ის ხშირად სვამს მდგარე წყალსაც“, ამბობდა ერთი პოეტი, ხოლო პაოლო იაშვილის სანუკვარი ოცნება იყო „გზააბნეული ხალხის პოეზიის ცისფერი ტაძრისკენ წაყვანა“, რითაც დამთავრდა ეს ოცნება, ყველამ კარგად ვიცით. ტიციან ტაბიძის წითელი მიხაკი და ბოჰემური ცხოვრების ნირი მწარედ გააღიზიანებდათ დღევანდელ პოეტების მოძულეებს, მაგრამ რომელი „პატრიოტი“ „დაამცირებდა“ თავს და სამშობლოს ასეთი სიტყვებით მიმართავდა:

„შენი ძვირფასო და ტკბილო
დედავ,
ჩემო თბილისო, გულის
ლაჟვარდო,
ძალლი ძაღლური [illegible],
რომ შენს [illegible]
[illegible]“...

მის მოწამებრივ სიკვდილზე რომ არაფერი ვთქვათ.

პაოლო იაშვილი რომ რუსთაველზე დადგა და ხელი გაიწოდა, რომ ნაცნობი მათხოვრისთვის ფული შეეგროვებინა, უფრო მკაფიოდ ვერაფრით ვერ დაამტკიცებდა, როგორ უყვარებია ხალხს. ვინ აპატიებდა? თვითონ ჯალათს რომ ვერ შეემჩნია, უნიჭო კოლეგები აქ არ იყვნენ.

როდესაც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც მთელი ეს ჩვენი უბედურება მხრებზე დააწვა, ამბობს — ლიტერატურას და ხელოვნებას უნდა მივხედოთ, ჩვენ რა უფლება გვაქვს ცხვირი ავიბზუოთ და უზნეო ფრაზით — რა დროსია, — საკუთარ თავს ხაზი გადავუსვათ, საკუთარი სული მოვიკლათ.

„არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის მისი გადამკითხველი“, — ამბობდა გალაკტიონი. წიგნის მოძულეს ის, რაც თქმულა, არ ახსენებს. იქნებ, ასეთი წონასწორობის აღდგენაში მაინც დაგვეხმარონ გამომცემლობები, რომლებსაც დღეს, ბუნებრივია, ფული სჭირდებათ, ის ფული, მდარე ხარისხის წიგნებით და გასართობ ლიტერატურას რომ მოაქვს. ასეთი რამ მარტო ჩვენთან არ ხდება. ასეა ყველა ქვეყანაში. ბესტსელერების მხატვრული ღირებულება, არცთუ მაღალია, [illegible]. მაგრამ განათლებულ მსოფლიოში არის გამომცემლობები, რომელთა სახელი უკვე გარანტიაა იმისა, რომ აქ დასტამბული წიგნი მნიშვნელოვანი მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურაში. ამ წიგნების მკითხველთა რიცხვი ნაკლებია, ვიდრე, თუნდაც, კომიქსებისა, მაგრამ იგი სტაბილურია. ამ სტაბილურობას კიდევ უფრო ამყარებს ლიტერატურული პრემიები, რომლებიც, რა თქმა უნდა, არც ბიძაშვილ-მამიდაშვილობის, არც უფროს-უმცროსობის პრინციპით არ გაიცემა. მაგალითად, საფრანგეთში ამას წინათ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, გონკურების პრემია საგაზეთო ჯიხურის გამყიდველმა მიიღო თავისი რომანისთვის. ასეთი პრეცედენტი ჩვენში არ ხდება, მაგრამ, იქნებ, დროთა განმავლობაში ამასაც ეშველოს და გამომცემლობებსაც, ერთი ან ორი პატარა გამომცემლობა შეიქმნას ფულის მომტანი აუცილებელი საქმიანობის ბაზაზე, რომლის ღირსება წმინდა ლიტერატურული იქნება და არა პოპულისტური.

ამ ლიტერატურას ბევრი მკითხველი არ ჰყავს, მაგრამ ყოველთვის ჰყავდა მკითხველების გარკვეული წრე, რადგან ჩემს თვალწინ ერთ [illegible] იყიდებოდა ჩემი მეგობრების პოეტური კრებულები. ის ხალხი არსად არ წასულა, არც დახოცილა, უბრალოდ, [illegible] დარჩა, როცა [illegible] ზედაპირზე ამოიტანა მძვინვარე [illegible] მდინარემ. ისინი არიან ჩვენი ტვინი და სინდისი, ისინი დაგვეხმარებიან რაც შეიძლება მეტ ადამიანს გავაგებინოთ და ვაგრძნობინოთ ფანჯრიდან გადმომხტარი ჩვენი დიდი და უბედური პოეტის ასეთი ლექსი:

„სული გვქონდეს [illegible]
თოვლისა,
მეგობრები, სიკვდილამდე
მექნება
მხოლოდ ერთი სიყვარულის
შეგნება —
პოეზია უპირველეს ყოვლისა.“

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სარდლად ჯონი შალიკაშვილი ინიშნება

ნატოს სამხედრო ძალების [illegible] ამერიკელი გენერალი ჯონი შალიკაშვილი. იგი შეცვლის 62 წლის გენერალ ჯონ გალვინს.

ჯონი შალიკაშვილი 1936 წელს დაიბადა ვარშავაში. ბოლო წლების მანძილზე იგი შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო. შალიკაშვილი ნატოს ევროპული მთავარსარდლის პოსტს ოფიციალურად ამა წლის ზაფხულში დაიკავებს.

გენშერის გეგმები

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი, რომელიც 17 მაისს გადადგომას აპირებს, [illegible]. რადიოს აზრით, გენშერი გადადგომის შემდეგ დასვენებას ან, როგორც ზოგიერთი ფიქრობდა, მკურნალობას არ აპირებს. როგორც ხაზგასმით აღნიშნავს რადიო, გენშერი არ გრძნობს დაღლილობას, ხოლო ახალ [illegible] პოლიტიკურ პოსტს იგი მიმდინარე წლის დამლევს ან მომავალი წლის დამდეგს მიიღებს.

ლენინის ძეგლი გააჩუქეს

უკანასკნელ დღეებს ითვლის დრეზდენის მთავარი ვაგზლის წინ აღმართული ლენინის 120-ტონიანი ძეგლი. ქალაქის მესვეურებმა ძეგლი აჩუქეს [illegible] კოლექციონერ ვერნერ კურცს. ერთადერთი პირობა, რომელიც გარიგების დროს დაითქვა, ის არის, რომ კოლექციონერმა თავად უნდა იკისროს ძეგლის გადატანის ხარჯები და იგი რაც შეიძლება მალე [illegible]. [illegible], რომ ლენინის ძეგლის ახალი პატრონი [illegible] დიდი [illegible].

ვერ მორიგდნენ

ოდესაში წარუმატებლად დასრულდა რუსეთისა და უკრაინის წარმომადგენელთა შეხვედრა შავი ზღვის ფლოტის გაყოფის თაობაზე. შემდეგი შეხვედრა მაისის შუა რიცხვებში ქალაქ დაგომისში გაიმართება.

ბაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს,

ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „ბაზი“ გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

[illegible] ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებით, რომელთა შექმნაც მხოლოდ „ბაზს“ შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

[illegible]. „ბაზი“ — თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტი!

ანდრია ბალანჩივაძე



ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ, საქართველოს კულტურულმა ცხოვრებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა, 86 წლისა გარდაიცვალა ანდრია ბალანჩივაძე — დიდი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, თვალსაჩინო პედაგოგი, აღმზრდელი, რომელიც თვით უხუცეს ასაკშიც დაუცხრომლად იღვწოდა და [illegible] თავის კვალს ამჩნევდა მშობლიურ სულიერ კულტურას.

მეტად დიდია ანდრია ბალანჩივაძის დანატოვარი, ჟანრობრივად მრავალმხრივი. მუსიკალური შემოქმედების არც ერთი სახეობისთვის მას გვერდი არ აუვლია და ყველგან თავისი [illegible] სიტყვა [illegible]. მაგრამ მის მუსიკაში თავიდანვე გამოიკვეთა უმთავრესი ჟანრობრივი მიდრეკილებანი — სიმფონიური, საკონცერტო-ინსტრუმენტული და საბალეტო მუსიკის სახით და ყოველ მათგანში შეასრულა ფუნდამენტური, წარმმართველი როლი ეროვნულ მუსიკალურ ხელოვნებაში მათი განვითარების არაერთ ეტაპზე. ა. ბალანჩივაძე ავტორია პირველი ქართული ბალეტის „მზეჭაბუკის“, რომელიც მან 1936 წელს შექმნა ქორეოგრაფიის დიდოსტატთან ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად [illegible] ქართული ბალეტის თვითმყოფად სტილსა და მიმართულებას. შემდგომ, 1938 წელს იგი, „მთების გული“ სახელწოდებით, ვ. ჭაბუკიანმა დიდი წარმატებით დადგა ლენინგრადში — რუსული კლასიკური ბალეტის უპირველეს [illegible], და მისი რეზონანსი იმდენად დიდი იყო, რომ ეს ბალეტი მაშინდელი საბჭოთა რესპუბლიკების არაერთმა თეატრმა აიტაცა და დადგა. ერთბაშად ა. ბალანჩივაძე გვევლინება ქართული საფორტეპიანო მუსიკის ფუძემდებლად: მან პირველმა პროფესიულად, ხარისხობრივად განამტკიცა ეროვნულ შემოქმედებაში ამ ჟანრის როგორც კამერული, ისე დიდი საკონცერტო სახეობანი, მაგრამ [illegible] — ფუნდამენტური წვლილი ა. ბალანჩივაძემ ეროვნული სიმფონიური მუსიკის აღმავლობაში შეიტანა. ცნობილია, რომ ჩვენი დროის ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების ცენტრში ათწლეულების მანძილზე იყო სიმფონიური მუსიკა, რომელიც ქართულ მუსიკას, მის თვითმყოფად გზებს განსაკუთრებულ ავტორიტეტს უქმნიდა საქართველოს გარეთაც, ამ პროცესში კი [illegible] იყო ა. ბალანჩივაძის სიმფონიების, უწინარესად პირველი სიმფონიის (1944 წ.) როლი, რომელმაც გადამწყვეტი სახელი მოუტანა ქართულ მუსიკას მისი მოდერნიზაციის (ამ ცნების ყველაზე პროგრესული გაგებით) თვალსაზრისით და თავისი თანატოლი კომპოზიტორის შალვა მშველიძის „ზვიადაურთან“ ერთად [illegible] ეროვნული სიმფონიური მუსიკის კლასიკურ ეტალონად.

ანდრია ბალანჩივაძე დაიბადა 1906 წლის 19 მაისს სანქტ-პეტერბურგში, პირველი ქართული ოპერის ავტორის მელიტონ ბალანჩივაძის ოჯახში. 1926 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია კომპოზიციის (პროფესორ მ. იპოლიტოვ-ივანოვთან) და საფორტეპიანო (პროფესორ [illegible]) კლასებით. [illegible] და 1931 წელს დაამთავრა ლენინგრადის კონსერვატორია კომპოზიციაში პროფესორ ა. ჟიტომირსკისთან და ფორტეპიანოს განხრით — პროფესორ მ. იუდინასთან. [illegible], 1935 წლიდან ჩაება აქტიურ შემოქმედებით მუშაობაში საქართველოს დრამატულ თეატრებში, — მას 300 დრამატული სპექტაკლისთვის აქვს დაწერილი მუსიკა. 1931 წელს დიდმა ქართველმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია ა. ბალანჩივაძე [illegible] თავის თეატრში, როგორც კომპოზიტორი და მუსიკალური ნაწილის გამგე.

ა. ბალანჩივაძე საქართველოს მრავალი თეატრისთვის ქმნიდა მუსიკას, მათ შორის რუსთაველის სახელობის, ქუთაისის, თელავის, თბილისის [illegible] თეატრებისთვის. მიწვეული იყო [illegible], სადაც რამდენიმე დრამატული სპექტაკლის მუსიკა დაწერა.

საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი ანდრია ბალანჩივაძე ავტორია ოთხი სიმფონიის, ოთხი კონცერტისა ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, სამი ბალეტისა — „მთების გული“ (ლიბრეტო გ. ლეონიძისა და [illegible]), „ცხოვრების ფურცლები“ (1960 წ. [illegible]), „მწირი“ (1964 წ. მ. ლერმონტოვის მიხედვით); ოპერების: „რუბენ“ (დაუმთავრებელი), „მზია“ (1950), „ოქროს ქორწილი“ (1969), [illegible] ფორტეპიანოსათვის, ინსტრუმენტული ანსამბლებისთვის. აქვს მრავალი სიმღერა, რომანსი, გუნდები. მრავალი კინოფილმისთვის დაუწერია მუსიკა, მათ შორის პირველი ქართული ხმოვანი ფილმისთვის — „არსენა“. არაერთი პასუხსაგებ საქმეს ედგა სათავეში: 1941-48 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 1953 წლის, როგორც განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე, [illegible] საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ და მას შემდეგაც არაერთხელ აურჩევიათ ამ თანამდებობაზე, იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის [illegible] წევრი.

მაგრამ მისი საქმიანობის ძირითადი სფერო შემოქმედებასთან ერთად იყო პედაგოგიური მოღვაწეობა. მან აღზარდა ქართველ კომპოზიტორთა არაერთი თაობა, შექმნა მთელი სკოლა, რომელიც სათავეში ჩაუდგა და წარმართავდა საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებას. ა. ბალანჩივაძე ყოველ თავის მოწაფეს უდგებოდა იშვიათი სიფაქიზით, თითოეულის ინდივიდუალური მონაცემების გათვალისწინებით. ნიშანდობლივია, რომ გარდა მისი უშუალო მოწაფეებისა, სხვა ახალგაზრდა კომპოზიტორებიც ცდილობდნენ ეზიარებინათ ა. ბალანჩივაძის, როგორც დიდი მუსიკოსის [illegible] და გამოცდილებას. კომპოზიტორთა კავშირში მისი ხელმძღვანელობით წარმართული დისკუსიები კი [illegible], შემოქმედებითი სიხარულისა და პირუთვნელი კრიტიკის, რაც მთავარია — დიდი მზრუნველობის ნიშნით ტარდებოდა.

მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც, მეგობრობდა თანამედროვეობის დიდ მუსიკოსებთან. საკმარისია მათ შორის დავასახელოთ ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორი დმიტრი შოსტაკოვიჩი.

ქართველ მუსიკოსთა არაერთი თაობა უსაზღვროდ მადლიერი იქნება ანდრია ბალანჩივაძისა, როგორც უდიდესი მუსიკოსისა და პიროვნებისა, მისი სახელი და ხსოვნა [illegible] ქართული მუსიკის მომავალს.

ე. შევარდნაძე, თ. სიგუა, ჯ. იოსელიანი, თ. კიტოვანი, ო. ქვილითაია, ა. ჩიქვაიძე, ი. ხურბულაძე, რ. გოცირიძე, ა. კავსაძე, ო. ფარძლაშვილი, ვ. გოგუაძე, ბ. ზერიძე, ი. ანდრიაძე, ე. ამაშუკელი, გ. ანთაძე, დ. ბერძენიშვილი, ნ. ბაბუნია, ზ. დავითაშვილი, ჯ. ქასიძე, ი. კეშაუშაძე, ბ. კვერნაძე, ო. ლითანიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, ს. ნასიძე, გ. ფანჯიკიძე, ა. მაჭავარიანი, ა. შავერზაშვილი, ე. შენგელაია, ა. წულუკიძე.

დიდი გზა განვლე

ძალიან მიმძიმს მოგმართო ამ დროს, როდესაც შენ აღარ ხარ ჩვენთან, დიდი გზა განვლე, დატვირთული შემოქმედებითი მიგნებებით, სამშობლოსათვის უშრეტელ სამსახურში. სამოცი წელი აკავშირებს ჩვენს მეგობრობას, რომელიც აღმოცენდა ხელოვნებისადმი, კერძოდ, მუსიკალური ხელოვნებისადმი დიდ სიყვარულზე, მოქალაქეობრივ და საზოგადოებრივ ვალდებულებებზე. კარგად მახსოვს შენი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯი, რომელიც იმ დროისათვის საოცარი სიახლის მომტანი იყო ქართული მუსიკისათვის. შენ შემოიჭერი, როგორც ნოვატორი, როგორც მგზნებარე პოეტი. უდიდესი გამარჯვება მოუტანა ქართულ ხელოვნებას შენმა პირველმა ბალეტმა „მთების გულმა“, რომელიც დადგა დიდმა ვახტანგ ჭაბუკიანმა, და ბრწყინვალე პირველმა სიმფონიამ, რომელმაც ქართული მუსიკა გამოიყვანა დიდ სარბიელზე.

ბედნიერი ხარ ძვირფასო ანდრო, შენ შექმენი შესანიშნავი ხელოვნება, ჭეშმარიტად გაამდიდრე ჩვენი ეროვნული კულტურა. აღზარდე მთელი რიგი ნიჭიერი ქართველი მუსიკოსებისა. პირნათლად ემსახურე შენს ხალხს, როგორც შემოქმედი, ადამიანი, დიდი საზოგადო მოღვაწე.

ბედნიერი ოჯახი იყო ბალანჩივაძეების ოჯახი. მამა — სახელგანთქმული ქართველი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე, შენ, დიდი ქართველი მუსიკოსი, შენი უფროსი ძმა გიორგი ბალანჩინი ამერიკული ბალეტის მამად წოდებული, შვილები: ამირანი — ფიზიკოსი, ჯარჯი შესანიშნავი მუსიკოსი, ციცინო — მშვენიერი ბალერინა. მეუღლე — ქალბატონი [illegible] ერთგული მეგობარი, ნიჭიერი ქალი და დიდი [illegible].

აი, ასეთია ბალანჩივაძეების ოჯახი. მადლიერია ქართველ მუსიკოსთა საზოგადოება, მთელი ჩვენი ერი.

სამარადისო იქნება შენი სახელი და ღვაწლი ჩვენი ერისათვის.

ალექსი მაჭავარიანი.

აღასრულა ვალი ქვეყნის წინაშე

ანდრია ბალანჩივაძე — ის სახელია, რომელთანაც დაკავშირებულია ქართული მუსიკის და ჩვენი ქვეყნის მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვანი მიღწევები. სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარეს. მისმა შემოქმედებამ ფართო გზა გაუხსნა ქართულ პროფესიულ მუსიკას ისეთ ჟანრებში, როგორიცაა სიმფონია, საფორტეპიანო კონცერტი, ბალეტი და კამერული მუსიკა.

მე, როგორც მის ერთ-ერთ აღზრდილს, რომელსაც ახსოვს მისგან დიდი სითბო და გულისხმიერება, მინდა გამოვხატო ის დიდი სინანული, რომელიც [illegible] ყველა ჩვენთაგანს, [illegible] ანდრიას მოწაფეებსა [illegible]. [illegible] ანდრია, რადგანაც შენ აღასრულე შენი ვალი სამშობლო ქვეყნის წინაშე.

ალექსანდრე შავერზაშვილი.

„იხარე, მტერო!“

ფანტასმაგორია

„ტბილისი მცერალთა კავშირის. ზურაბ ფანდურიძეს— ვიზიარებ ტკვენს მცუხარებას ლერი ჩანტლაძის გარდაცვალების გამო — ნინო“.

დეპეშა გახლავთ სოხუმიდან, გამოგზავნილია აპრილის შუა რიცხვებში.

აქვე უნდა ითქვას, რომ დეპეშაში აღბეჭდილი ფაქტი ჩემი გარდაცვალებისა, არცთუ იმდენად გაზვიადებულია.

საქმე ის გახლავთ, რომ მე მართლაც გარდავიცვალე და სრულიად მოულოდნელად (თუკი დღეს გარდაცვალება ვინმესთვის შეიძლება მოულოდნელი იყოს) აღმოვჩნდი სიდგაღმა, ე. ი. საიქიოს.

ის, რის შემყურე და მოწმეც გავხდი, როგორ დაგაჯეროთ, როცა, ჩვენი, ბოლომდე მეც არ მჯერა!

ერთი სიტყვით, ცოტა ვიფრინე თუ ხევრე, უეცრად აღმოვჩნდი უზარმაზარ, საზარლად ხვეტებ-მონგრეულ ნაგებობასთან, რომლის ფასადზე, მოფრიალე დაგლეჯილი დროშის ქვეშ, ეწერა წარწერა: „იხარე, მტერო!“ ეს რა არის-მეთქი, ვკითხე ჩემს გამცილებელს, და საქართველოს მტრების მუდმივმოქმედი კლუბიაო, მიპასუხა; თუ გაინტერესებს, შეიხედე შიგნით, თორემ, თუ საქართველოს მტერი არა ხარ, ცუდს რასმე მოგწვევენო.

მეც არ ვიცი, როგორ შევიპარე და როგორ აღმოვჩნდი ხალხმრავალ თავყრილობაზე.

ღმერთო, ეს რა ვნახე! ამდენი მტერი და ორგული ერთად!

პრეზიდიუმი ორ ფრთად იყო გაყოფილი. ერთ მხარეს ეწერა: „გარეული მტრები“, მეორეს — „შინაური მტრები“. პრეზიდიუმში სულ საქართველოს მთავარი მტრები ისხდნენ. ყოველი მათგანი სათითაოდ გამოვიცანი. მარცხნივ ისხდნენ: შაჰ-აბასი, თემურ-ლენგი, ალფარსლანი, რუმის სულთანი რუქნადინი, მალიქშაჰი, ჩინგიზ-ყაენი და ხათო-ყაენი, მურვან-ყრუ და ჯალალედინი, ზუნ ჰასანი და ნურისალბეგი. მარჯვნივ: პაპა-შვილიშვილები ყვარყვარე ათაბაგები და ლიპარიტ ბაღვაშები, კახეთის მმართველი კონსტანტინე, ლეკების დაქირავებული ჯარით თბილისი რომ აიხრა, კახაბერ ყორღანაშვილი, ხვიჩა მეფე რომ ურჯულოებს შეაპყრობინა, ლევან აბაშიძე, ოსმალოებს იმერეთში რომ შემოუძღვა, ზაქარია ანდრონიკაშვილი, კრწანისის ომში რომ გაწირა საქართველო, და გიორგი მეორე, ნადირობის სუფრის დასაოკებლად სამშობლო რომ ფეხებზე დაიკიდა.

დარბაზში შედარებით წვრილმანი მტრები ისხდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა „მარკოზაშვილების დარბაზის“ მემარჯვენე ფრაქცია. იქვე ყვითლად ელვარებდა ვეთლუ-არსლანის ქარავი. დარბაზს ცალი კედელი არ ჰქონდა. კედლის ადგილას ნაირფერი ფინური კარვები იყო ჩამწკრივებული, საიდანაც შოთხანი ქალები იმზირებოდნენ და დროდადრო ვიღაც შავთვალა მამაკაცის პორტრეტის წინ დაჩოქილნი ლოცულობდნენ.

პრეზიდიუმის თავზე ფოსფორიანი ასოებით ინთებოდა და ქრებოდა წარწერა: „2001 წელს დედამიწა უსაქართველოდ, თუ მაინცადამაინც, საქართველო უქართველებოდ! მოკვდი ბერო, იხარე მტერო!“

— ძვირფასო მტრებო საქართველოისა, — ხმა აღიმაღლა პრეზიდიუმის ცენტრში მჯდარმა, გარეული მტრების სპიკერმა შაჰ-აბასმა და ცოცხივით ულვაშები შეათამაშა, — სხდომა ძალიან გაგვიგრძელდა. აგერ მე, მადლი ალაჰს, 888 წელიწადია ამ დარბაზს ვსპიკერობ, ხელშესახებს კი ვერაფერს ვეწიეთ. რა არ ვეცადეთ, ჩემამდეც და ჩემს შემდეგაც. რამდენი ვჟლიტე, რამდენი ირანს წავასხი, თეიმურაზი და სააკაძე ერთმანეთს წავკიდე და ბაზალეთის ომში ქართველებს ერთმანეთი გავაჟლიტვინე! მერედა, რა გვაქვს ხელში?..

— გუშინდელი ტელეტაიპი: საქართველო ცივილიზებული ქვეყნების უმრავლესობამ ცნო! — აფრიალა ქაღალდი ყვარყვარე ათაბაგმა — შვილიშვილმა.

— რა არიო?! — იკითხა მურვან-ყრუმ. პასუხი არავინ გასცა.

შაჰ-აბასმა მზერა მიაპყრო თემურ-ლენგს, რომელიც მოკლე ფეხს იზელდა.

— შინაურ მტრებს მეტი შემართება მართებთ, შაჰინშაჰ — ჩაფიქრებით ამოღერღა ლანგ-თემურმა.

— თემო ხწორს ბრძანებს! — წამოიშველა დარბაზიდან დავით ქართლის ბატონიშვილი, ფარცხისთან რომ ოსმალოებს ქართველები აფუყვინა, — რატომ არ არიან პრეზიდიუმში ჯუღაშვილი, ბერია, ორჯონიკიძე, მახარაძე?..

— მაგათი სტატუსი ზუსტდება, — უპასუხა ყვარყვარემ, — მალე ალბათ ჩვენს გვერდით იქნებიან...

— დიდო შაჰინშაჰ, — სიტყვა აიღო ალა-მაჰმად-ხანმა, — მალე ჩვენი ათასწლოვანი ძალისხმევა გამარჯვებით დაგვირგვინდება, მადლი ალაჰს!.. აი, უხტარი, რომელიც გულში ურყევ იმედს გვისახავს: ის, რაც ჩვენ, საქართველოს ურიცხვმა გარეულმა და შინაურმა მტერმა ვერ შევძელით, ხელეწიფება ამ საკვირველი ეპისტოლეს ავტორს.

დარბაზი მოუთმენლად აჩმაურდა. შაჰ-აბასმა ხელი შემართა:

— უკეთუ არ ხუმრობ, ვინ არის ეგ და რა უხტარია?

— ეს გახლავთ საქართველოს რესპუბლიკის ექს-პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ეპისტოლე-მიმართვა აფხაზეთის ქართველობას, ქართველობამ.... ყორღანაშვილს გადავეცემ და მაგან წაიკითხოს. ჰა, კახაბერ!

— ახლავე, ალაჰან! — ყორღანაშვილმა ულვაშები გაისწორა და დაიწყო:

„იმპერიის ემისარმა შევარდნაძემ, რომელმაც მოახდინა საქართველოში ხელისუფლების უზურპაცია, დღეს აფხაზეთისკენ დაძრა თავისი კრიმინალური ბანდები“..

— ხომ გეუბნებოდით, მართლმორწმუნენო! — იყვირა ჯალალედინმა, — ეგ კაცი ჯუღაშვილივით რუსის ჯარს შემოუძღვება-მეთქი გურჯისტანში, აკი ახრულდა!

— ეგ ის შევარდნაძე არ არის, რომლის კანდიდატურას განვიხილავდით ჩვენი დარბაზის მომავალ სპიკერობაზე? — იკითხა შაჰ-აბასმა, — შემოუძღვა რუსის ჯარს?

— რას ბრძანებთ, დიდო შაჰინშაჰ, არც ერთი რუსის ჯარისკაცი არა ჰყავს! — უპასუხა ალა-მაჰმად-ხანმა.

— მაშ, ვინა ჰყავს, ყიზილბაშები?

— არა, მხოლოდ ქართველები არიან.

— ვერაფერი გავიგე, ალაჰსა ვფიცავ. განაგრძე!

— „მისი მიზანი ერთია: ქართველთა და აფხაზთა გენოციდი“...

— „გენოციდი“ ეგ მოშთობაა, არა?... აფერუმ, ედუარდ-ხან! განაგრძე!

— „დღეს აფხაზები წინ აღუდგნენ ძალმომრეობას და არ სურთ ხუნტის ჯარების შემოშვება. ამოუდექით მათ მხარში, დაეხმარეთ ყოველნაირად საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში!“

— ვის ებრძვიან, რუსებს?

— არა. დიდო შაჰინშაჰ, ქართველებს.

— გამოდის, რომ ზვიად-ხანი ქართველებს მოუწოდებს შეეკრან აფხაზებს ისევ ქართველებთან საბრძოლველად...

— ასე გახლავთ.

— ჩვენი კაცი ყოფილა. აფერუმ, ზვიად-ხან! იმედი მაქვს, მაჰმადიანობა მიღებული ექნება.

— ჯერ არა, მაგრამ ჩეჩნეთის ფაშასთან ფრიად ახლობლური ურთიერთობა აქვს.



მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

— არა უშავს რა, აქ მოინათლება!

— სასპიკერო კაცია, — ჩაურთო თემურ-ლენგმა.

— ჭეშმარიტებაა, — კვერი დაუკრა ალა-მაჰმად-ხანმა, — რაც მაგან მოახერხა, მეც ვერ შევძელი... ხომ ნახეთ, რას დაამსგავსა რუსთაველის პროსპექტი, ძმა ძმას წაჰკიდა, დასავლეთი — აღმოსავლეთს, სისხლის ტბები დააყენა. ხალხი დაამშია, ხაზინა გაძარცვა, უკეთესი კანდიდატურა არ არსებობს!

— მე და პაპაჩემმა ძმათა შორის ხუთი ომი მოვაწყვეთ, საქართველოს მეფეებს სისხლი გავუშრეთ! — უკმაყოფილოდ აბუზღუნდა ყვარყვარე...

— ამასთან ფეხი არ ჩაგივა! — ხმა გააკმედინა შაჰ-აბასმა, — განა მაგან არ ბრძანა, ხუთი ქართველიც რომ დარჩეს საქართველოში, მე მაინც მაგათი პრეზიდენტი ვიქნებიო?! ბარაქალა! ზვიად-ხანს სპიკერის სავარძელი განაღდებული აქვს, ყვარყვარეს სავარძელი... ერთი ეს მითხარი, — მოუბრუნდა ალა-მაჰმად-ხანს, — ეგ შევარდნაძე როგორღა მტრობს ზვიად-ხანს, თუკი ერთ საქმეს აკეთებენ — საქართველოს ანადგურებენ!

— ტყუილია, დიდო შაჰინშაჰ, აბრალებენ! ეგ ჩვენი მოსისხლე მტერია, დადის ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ, მომხრეებს აგროვებს, ხალხს სულში უძვრება. შიდა ქართლიდან რუსის ჯარი თოფის გაუსროლელად გაისტუმრა, პირზე კოცნით.

— შაი, გიაურ! თავს ისე გვაჩვენებდა, თითქოს საქართველოს პირველი მტერი იყო, რუსებს პირს უქონავდა.... როგორ გაგვაცურა.

— მაგან ჩვენ კი არა, მთელი კომუნისტური მაფია გააცურა, ირანის ლომო, — ჩაიცინა თემურ-ლენგმა, — მრგვალ მაგიდას პურმარილი ჩაუშხამა. ჩემგან არ გესწავლებათ, ქართველები სანდონი რომ არ არიან. გაიხსენეთ კახეთის აჯანყება, სააკაძის მუხთლობა...

— შაი, გიაურ! — იყვირა შაჰ-აბასმა, — გული მეუბნება, რომ ჩვენს მიზანს ვერ ვეწევით და კიდევ მრავალი საუკუნე მოგვიწევს ამ დარბაზში ყაყანი.

— რაო, რაო? — იკითხა მურვან-ყრუმ.

არავინ უპასუხა, მით უმეტეს, რომ შუქი გამოირთო, მანათობელი ლოზუნგები ჩაქრა და ყველაფერი სიბნელემ მოიცვა..

და ბოლოს, ისევ დეპეშა:

„სუხუმ ნინოს ვიზიარებ ტკვენს მცუხარებას ლერი ჩანტლაძის საიკიოდან მობრუნების გამო.

ტვიტონ ლერი ჩანტლაძე“.

საჩუქარი ამერიკიდან

საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტას შორის მეგობრობაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა. ბევრი კარგი საქმე კი სწორედ პირადი კონტაქტების საფუძველზე გაკეთებულა. ასეც უნდა იყოს, ახლის ძიებით, საზღვარგარეთელ კოლეგებთან ურთიერთობით ხომ უფრო ვიმაღლებთ საკუთარ პროფესიონალიზმს, ამით კი საზოგადო საქმე ქოდება. ეს, რასაკვირველია, ყველა დარგის სპეციალისტს შეეხება, მით უფრო ექიმს, რომლის პროფესიონალიზმზეც ხშირად არის დამოკიდებული პაციენტის ბედი.

ჩვენს მკითხველს 18 აპრილის ნომერში ვაუწყეთ, რომ საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა ატლანტის ჰუმანის საავადმყოფოს დირექტორი ქალბატონი მარჯი ხოიერი. ჩვენს რესპუბლიკაში იგი მოიწვია თბილისის ბავშვთა მეორე საავადმყოფომ, კერძოდ, ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილების გამგემ იოსებ მაჟავარიანმა, რომელიც ახლახან დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც 3 თვით იყო მიწვეული ატლანტის შტატში. აქვე აღვნიშნავთ, რომ თბილისის ბავშვთა მე-2 საავადმყოფო ამერიკიდან ელოდა ძვირადღირებულ აპარატურას, რომელიც ქალბატონმა მარჯიმ ქართველ კოლეგებს საჩუქრად გამოუგზავნა. აი, ეს აპარატურა უკვე თბილისს ჩამოვიდა. 20 აპრილს საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილებაში გაიმართა პრეზენტაცია. ჩვენ კითხვით მივმართეთ განყოფილების გამგეს ბატონ იოსებ მაჟავარიანს გამოგზავნილი აპარატურის მნიშვნელობის შესახებ.

— როგორც იცით, — ბრძანა მან, — ქირურგიული ოპერაციები ყელისა და ცხვირის არეში ადგილობრივი ანესთეზიით კეთდება. ეს აპარატურა კი, რომელიც ფაქტობრივად ელექტროდანაა, საშუალებას იძლევა ოპერაციები ჩატარდეს ზოგადი ანესთეზიით, დაძინებულ მდგომარეობაში, ტკივილის სრულიად შეუგრძნობლად.



ქალბატონმა მარჯიმ დაათვალიერა საავადმყოფო, მისი განყოფილებები, შეხვდა ექიმებსა და პატარა პაციენტებს.

შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია. საუბარში აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასეთ კონტაქტებს, დაისახა ამერიკისა და საქართველოს სამკურნალო დაწესებულებათა ურთიერთობის ახალი გზები.

ეკა ლეჟავა.

სურათზე: თბილისის ბავშვთა მე-2 საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილების გამგე იოსებ მაჟავარიანი და ამერიკელი ექიმი მარჯი ხოიერი პატარა პაციენტის გასინჯვის დროს.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

● სხვა გაზეთებიდან („ტრუდი“)

სიცოცხლე სიცოცხლის შემდეგ

გვესაუბრება „საიქიოს“ მკვლევარი რაიმონდ მოუდი

„ვიცოდი, ვკვდები და უკვე აღარაფრის გაკეთება არ შემეძლო. განვიშორდი ჩემს სხეულს, რომელსაც ზემოდან დავყურებდი ქვემოთ, საოპერაციო მაგიდაზე. ჯერ ცუდად ვიგრძენი თავი, მაგრამ აი, დავინახე ჩახჩახა თეთრი სინათლე. თვალწინ წარმოიდგა რაღაც არამქვეყნიური სიცხადე, რომლის აღწერაც შეუძლებელია. და ამ დროს უცებ გავიგონე კითხვა...“

ეს ერთ-ერთია იმ ნაამბობთაგან, რომლებიც მოყვანილია ბევრი ჩვენი მკითხველისათვის ცნობილ წიგნში „სიცოცხლე სიცოცხლის შემდეგ“. მისი ავტორი — ამერიკელი ფილოსოფოსი და ექიმი რაიმონდ მოუდი — ამ ცოტა ხნის წინ იყო ჩეხოსლოვაკიაში, სადაც ხალხით გაჭედილ დარბაზებში კითხულობდა ლექციებს იმის შესახებ, თუ რას გრძნობენ ადამიანები, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანეს. რუდეპრავოელმა ჟურნალისტმა მოახერხა ინტერვიუს ჩამორთმევა. მაშ ასე, კორესპონდენტის პირველი კითხვა რაიმონდ მოუდის:

— თქვენ 26 წელიწადს იკვლევდით იმ ადამიანთა შეგრძნებებს, რომლებმაც სიკვდილი გადაიტანეს. რამ მიგიყვანათ ამ გამოკვლევამდე?

— უწინარეს ყოვლისა, გაოცებამ და ცნობისმოყვარეობამ. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, როდესაც ფილოსოფიას ვსწავლობდი, გავიცანი ფსიქიატრიის პროფესორი რიტჩი. იგი საოცარი გულითადობითა და ფაქიზი იუმორით გამოირჩეოდა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ რიტჩს ორჯერ გადაეტანა კლინიკური სიკვდილი. პირველად მისგან მოვისმინე გასაოცარი ამბები: როგორ დაუნახავს თავისი მკვდარი სხეული საავადმყოფო საწოლზე, გვირაბში მიმავალი გზა, რომელსაც გაუყვანია კაშკაშა სინათლისაკენ, სიყვარულს რომ ასხივებდა, როგორ შეუგრძვნია ამ წამებში თავისი სიცოცხლის ყოველი მოვლენა თითქოსდა სამგანზომილებით... ოთხი თვის შემდეგ ერთ-ერთმა სტუდენტმა, რომელმაც ასევე გამოსცადა სიკვდილის კლანჭები, გამიზიარა თავისი შთაბეჭდილებანი. მერე და მერე სულ უფრო მეტად დავინტერესდი. აღმოჩნდა, რომ ჩემი ყოველი ოცდამეათე სტუდენტი ყოფილა ამგვარ სიტუაციაში, ანდა სმენოდა ამის შესახებ ახლობლებისაგან. მათმა ნაამბობმა გადამაწყვეტინა შემეტანა ფიზიკური სიკვდილის საკითხები ფილოსოფიურ კურსში, რომელსაც მე ვუძღვებოდი უნივერსიტეტში. ამ კურსისადმი საზოგადოებრიობის უდიდესმა ინტერესმა კი დამაწერინა წიგნი, რომელსაც „სიცოცხლე სიცოცხლის შემდეგ“ ვუწოდე.

— ამ წიგნში თქვენ თითქოს განაზოგადებთ იმ ადამიანის განცდების სურათს, რომელსაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანა...

— დიახ. ადამიანი კვდება და ამ მომენტში განიცდის უმძიმეს ფიზიკურ ტანჯვას. ამ დროს მას ესმის უსიამო ხმა, რეკა ან ზრიალი და ამასთანავე გრძნობს, რომ ძალიან სწრაფად მიიწევს რაღაც ბნელი და გრძელი გვირაბით. შემდეგ იგი თითქოს სცილდება თავის სხეულს, მაგრამ ჯერ კიდევ ახლოს არის მასთან და უყურებს გვერდიდან, როგორც გარეშე მოსეირე. შემდეგ ვიღაც მოდის, რათა მიესალმოს და დაეხმაროს. იგი ხედავს გარდაცვლილ ახლობელთა და მეგობართა სულებს, თვალწინ წარმოუდგება რაღაც მოყვარული და მოალერსე კეთილი სული, რაღაც ისეთი, რასაც აქამდე არ იცნობდა, არსება, რომელიც მთლიანად შედგება შუქისაგან. იგი უსვამს კითხვას, რომელიც აიძულებს შეაფასოს საკუთარი სიცოცხლე და ეხმარება კვლავ განიცადოს მისი ყველა უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი. გარკვეულ მომენტში გარდაცვლილი გრძნობს, რომ უახლოვდება რაღაც საზღვარს თუ მიჯნას, რომელიც სააქაოს ყოფს საიქიოსაგან. და მაინც იგი გრძნობს, რომ უნდა დაბრუნდეს უკან, რომ მის ჟამს ჯერ არ დაუკრავს. ეს კი არ სურს, ვინაიდან უკვე მთლიანად აიტანა ახალმა შეგრძნებამ. იგი გამსჭვალულია სიხარულის, სიყვარულისა და სიმშვიდის შეგრძნებით, მაგრამ შემდეგ კვლავ უერთდება თავის ფიზიკურ სხეულს და ცოცხლდება.

— ენითა და კალმით აუწერელი ნათელი არსება... რა არის ან ვინ არის იგი?

— მორწმუნე ადამიანები მასში ხედავენ ღმერთს, ზოგი ქრისტეს, ზოგიც ბუდას. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მორწმუნეებიც და ურწმუნოებიც ერთსულოვნად ამტკიცებენ, რომ ეს არსება გამოხატავს აბსოლუტურ სიყვარულსა და გაგებას. და ეს გამოხატულება იმდენად ძლიერია, რომ ადამიანთა უმრავლესობას სურს მასთან სამუდამოდ დარჩეს. საინტერესოა გარდაცვლილთა მიერ ხელახლა განცდილი სიცოცხლის მოვლენები, ბავშვობიდან სიკვდილის დადგომის მომენტამდე. ეს არის ან ცოცხალი, მკაფიო და უაღრესად ლამაზი სურათები, ანდა ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები, ზოგჯერ — უბრალო წვრილმანებიც. ამასთან ადამიანი თავისთავად კი არ განიცდის საქციელს, რომელიც ოდესღაც ჩაუდენია, არამედ აპროექციებს მის ზემოქმედებას გარემოცვაზე. ამ მაგალითს ასე განვმარტავთ: თუ კი მე ჩავიდინე რაღაც უკადრისი და უღირსი თავს ვგრძნობ იმის განსახიერებად, ვისაც ვაწყენინე, განვიცდი მის ავადმყოფობას და გულისტკივილს.

— რას აქცევს მანათობელი არსება ყველაზე მეტ ყურადღებას?

— ყველა, ვინც სიკვდილის პირას აღმოჩნდა, სააქაოში დაბრუნდა იმ წარმოდგენით, რომ ცხოვრებაში ყველაზე მთავარია სიყვარული, მეორე ადგილზეა — შემეცნება.

— ასრულებს თუ არა ამ შემთხვევაში რაიმე როლს ღმერთისადმი რწმენა?

— არა. ყველა ამ შეგრძნებას განიცდიან როგორც მორწმუნენი, ისე ურწმუნონი. თუმცა ის ადამიანები, ვისაც აქამდე ღმერთი არ სწამდა, შემდეგ ამბობენ, რომ იწამეს ღმერთი და ესმით სულიერის არსი. ამასთან ყველა აღნიშნავს, რომ ღმერთი გაცილებით უფრო სულგრძელი ყოფილა, ვიდრე აქამდე ეგონათ და ვიდრე ეკლესიაში სმენოდათ.

— თვითმკვლელობის შემთხვევებში როგორღაა საქმე?

— ბევრი მათგანი, ვინც სიკვდილი განიცადა, ამბობს, რომ არ სურდათ საიქიოდან დაბრუნება, მაგრამ ამასთანავე ყველანი უარყოფენ თვითმკვლელობას როგორც საიქიოში დაბრუნების საშუალებას. ამას ხსნიან გარდაცვალების დროს მიღებული რწმენით, რომ მოვალენი არიან სიცოცხლეში კიდევ რაღაც როლი შეასრულონ. ერთმა მამაკაცმა, რომელიც უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა, მიამბო: „იქ ვირწმუნე, რომ აკრძალული მქონია ორი რამ: საკუთარი თავის ან ვისიმე სხვის მოკვლა. ჩაიდინო თვითმკვლელობა, ეს იგივეა, რომ ღმერთს უკან მიუგდო თავისი საბოძვარი...“

— თქვენი წიგნი „სიცოცხლე სიცოცხლის შემდეგ“ ემყარება 150 კაცის ნაამბობს, რომლებიც თავიანთი გარდაცვალების მომსწრენი არიან. შემდეგ გამოვიდა „ფიქრები სიცოცხლის შემდეგ სიცოცხლეზე“, „სინათლე სიცოცხლის შემდეგ“. „ცხოვრება სიცოცხლის წინ“, მაინც რამდენ სიკვდილგადატანილ ადამიანთან გისაუბრიათ?

— მე დავამუშავე 3 ათასი კაცის განცდები. საერთოდ კი, სოციოლოგთა მონაცემებით, ასეთი „გამოცდილება“ აქვს ყოველ მეოცე კაცს დედამიწაზე.

— თქვენ ექიმი და ფილოსოფოსი ბრძანდებით, გარდაცვალების მომენტის — ამ უაღრესად საინტერესო მოვლენის მრავალი წლის შესწავლის შემდეგ გჯერათ თუ არა იმქვეყნიური სიცოცხლისა?

— გიპასუხებ, და არა მარტო ჩემი სახელით. მე მისაუბრია პრაქტიკულად ყველა მეცნიერთან, ვინც ეწევა კვლევას ამ დარგში. ყოველ მათგანს სწამს, რომ სიკვდილის დადგომისას დაუფლებული განცდა სხვა არა არის რა, თუ არა სიცოცხლის შემდეგ გარდაცვალების ნათელი.

მაგრამ როგორც სწავლულებსა და მედიკოსებს, მათ დღესდღეობით ჯერ კიდევ ვერ დაუმტკიცებიათ მეცნიერულად, რომ ჩვენი ერთი ნაწილი ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობს. მიუხედავად ამისა, ისინი ცდილობენ — მეცნიერული მეთოდებით — უპასუხონ ურთულეს კითხვას იმის შესახებ, თუ რა მოგვდის სიკვდილის შემდეგ, რა არის თვით გარდაცვალება. მაგრამ მე არა მგონია, რომ მეცნიერებამ ოდესმე შეძლოს უპასუხოს ამ კითხვას.

კვირის კრიმინალური ქრონიკა

გასული კვირის განმავლობაში რესპუბლიკაში რეგისტრირებულია სისხლის სამართლის 811 დანაშაული, რომელთაგან „ცხელ კვალზე“ გაიხსნა 148, მოხდა 21 მკვლელობა, 66 ყაჩაღობა, 134 ქურდობა, 38 ავტოავარიაში დაიღუპა 2 ადამიანი.

მარტო ავტომატით როდი ხოცავენ

დღე არ გავა 3-4 კაცი არ მოკლან ყაჩაღებმა და ბანდიტებმა. კრიმინალური სამყაროს ხელში ჩავარდნილი დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი თავის ბოროტ საქმეს აკეთებს.

20 წლის ქეთევან ღლონტს კი 68 წლის პენსიონერის შუქურ ხაზიურის მოსაკლავად არც ავტომატი გამოუყენებია და არც პისტოლეტი... მან 24 აპრილს, გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენის საძოვრებზე, ცხვრის ფარეხში ჯერ დაახრჩო შ. ხაზიური, შემდეგ კი მინის ნატეხი გამოუსვა ყელში.

გამოძიება დაადგენს, რა უნდოდა საძოვრებზე ქეთევან ღლონტს. მანამდე კი შეგვიძლია ვაუწყოთ მკითხველს: მას არც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა და არც სადმე მუშაობდა.

იპარავენ... მოსწავლეები

არავინ იცავდა ახმეტის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების საწყობს. 24 აპრილს ღამით ამ საწყობიდან მოიპარეს ავტომანქანის 9 საბურავი და 25 ელექტროკალკულატორი.

მილიციის რაიგანყოფილების მუშაკებმა მეორე დღესვე დააკავეს ამ ქურდობის ჩამდენი ცხრა ახალგაზრდა, რომელთაგან ექვსი ახმეტის საშუალო სკოლის, დანარჩენები კი ქალაქ რუსთავისა და ახალციხის პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები არიან.

სიკვდილის იმპორტი

საქართველოში კვლავ დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერებები შემოაქვთ.

ამ დღეებში დარიალის სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოზე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს, ყაზბეგის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების და კავკასიონის მოტორიზებული ოცეულის თანამშრომლებმა დააკავეს გროზნოს მცხოვრები, გროზნოს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი რამაზ ბოლოთაშვილი, რომელსაც შემოწმების დროს აღმოაჩნდა 86,2 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“.

მილიციისა და ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებმა რესპუბლიკაში ნარკოტიკების შემოტანის კიდევ რამდენიმე მცდელობა აღკვეთეს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი

თავშესაქცევად

● ტესტი

თქვენ და თავისუფალი დრო

როგორ ატარებთ თავისუფალ დროს? — ეს ფუჭი კითხვა არ გეგონოთ. იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თქვენი ცხოვრების წესს. გთავაზობთ ათ კითხვას ორი შესაძლო პასუხით, რომელთაგან უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი.

1. ა) გაგიფუჭდათ ტელევიზორი და თქვენ მშვიდად ელოდებით ხელოსანს, გადაცემებს უყურებთ დროდადრო და არა ყოველდღე. ბ) მაშინვე იღებთ ზომებს მის შესაკეთებლად, ვინაიდან უტელევიზოროდ ერთ დღესაც ვერ ძლებთ.

2. ა) შეგიძლიათ დაასახელოთ სამი წიგნი, რომლებიც ახლახან წაიკითხეთ ან აპირებთ წაკითხვას. ბ) თქვენ ჯერ კიდევ არ იცით რას წაიკითხავთ, ვინაიდან გარკვეული გეგმა არა გაქვთ.

3. ა) გაქვთ ჰობი—აგროვებთ მარკებს ან გიყვართ ფოტოგრაფია, ან... ბ) თქვენი საყვარელი საქმიანობაა დივანზე წოლა ან საღამოს გატარება უახლოეს კაფეში.

4. ა) გიყვართ ბუნება, ტყეში სეირნობა, მცირეოდენ შესაძლებლობასაც კი იყენებთ, რათა ხანმოკლე ან ხანგრძლივი ექსკურსია მოაწყოთ. ბ) არავითარ სიამოვნებას არ განიჭებთ ფეხით სიარული, ამჯობინებთ ავტობუსით ან ავტომანქანით მგზავრობას.

5. ა) მთელი წელიწადი მუყაითად შრომობთ, საქმეებს ვერ აუდიხართ, ხოლო შვებულების დროს კარგად ისვენებთ, არაფერს არ აკეთებთ, დივანზე ხართ წამოწოლილი. ბ) ამჯობინებთ შვებულების დროს მოგზაურობას, ახალი ადგილების ნახვას.

6. ა) წარმოიდგინეთ, რომ მოულოდნელად მოგეცათ თავისუფალი დღე. თქვენ არ გაწუხებთ პრობლემა თუ რა აკეთოთ, ვინაიდან უამრავი გეგმა გაქვთ. ბ) მე არ ვიცი როგორ გავატარო იგი, ვინაიდან ეს მოულოდნელად მოხდა.

7. ა) უქმე დღეს მნიშვნელოვან სატელეფონო ზარს ელოდებით. მაგრამ ჯერჯერობით ზარი იგვიანებს, ზიხართ ტელევიზორთან ან უსმენთ რადიოს. ბ) ზარის დარეკვამდე ალაგებთ ბინას, ან სხვა საქმეს აკეთებთ.

8. ა) შინ თამაშობთ ჭადრაკს, დომინოს... ბ) არც ერთი ეს სათამაშო შინ არა გაქვთ, მაგრამ აპირებთ შეძენას.

9. ა) არავითარი ემოციები არა გაქვთ ადამიანისადმი, რომელიც საფოსტო მტრედებს ამრავლებს, თქვენთვის ეს სულერთია. ბ) გაგებით ეკიდებით მათ, ვისაც რომელიმე ცხოველი ჰყავს შინ და ძალიან გატაცებულია იმით.

10. ა) თავისუფალი დრო თქვენთვის პრობლემა არ არის, თქვენ იმდენი ინტერესები გამოძრავებთ, რომ არც კი იცით პირველ რიგში რას მოჰკიდოთ ხელი. ბ) თავისუფალი დრო გარკვეულწილად ხელს გიშლით, გსურთ, რომ უქმე დღე მალე გავიდეს.

თუ 1, 2, 3, 4, 6, 10 კითხვაზე პასუხის გაცემისას „ა“ ვარიანტი აირჩიეთ, ჩაიწერეთ ორ-ორი ქულა. ასევე ორ-ორი ქულა, თუ 5, 7, 9 კითხვაზე პასუხის „ბ“ ვარიანტი აირჩიეთ.

0-დან 8 ქულამდე. თავისუფალ დროს თქვენ ძალიან ერთფეროვნად ატარებთ. საჭიროა დროდადრო გამოიჩინოთ მეტი ნებისყოფა და დაგეგმოთ ამ ერთფეროვნების შეცვლის სურვილი. თქვენს პარტნიორს სულაც ვერ ასიამოვნებთ, თუ მის კითხვაზე, უქმე დღეს როგორ ატარებთ, უპასუხებთ: „ეჰ, ეგ ჩემთვის სულერთია“.

10-დან 14 ქულამდე. არ გარგებთ სავარძელში ჯდომა და განუწყვეტლივ კითხვა. უმჯობესია სპორტს ეზიაროთ.

16-დან 20 ქულამდე. თქვენ იცით წუთის ფასი, ბევრი საზრუნავი გაქვთ. სიტყვა „მოწყენილობა“ თქვენთვის უცხოა. თუ ზუსტად 20 ქულა მოაგროვეთ, დაფიქრდით: გაინტერესებთ თუ არა თქვენი სამუშაო, რას გაძლევთ ოჯახი? და თქვენ კი — მას? გრჩებათ თუ არა დრო სხვა საქმისათვის, თავშექცევისა და გართობის გარდა?

სიზმრების... კოლექცია

გონების თვლემა ურჩხულებს ბადებს — ამ გამონათქვამის სამართლიანობაში მრავალგზის დარწმუნდა პეტერბურგელი მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვ. კასატკინი. მრავალი წელია იგი აგროვებს... სიზმრების კოლექციას, უფრო ზუსტად — სიზმრების მხედველობითი სახეების ამსახველ ნახატებს. მის კოლექციაში, რომელიც მსოფლიოში უდიდესია, 44 ათასი ასეთი ნახატია.

ეს მეცნიერის უბრალო ჰობი არ გეგონოთ — სიზმრის მიხედვით ვ. კასატკინს შეუძლია ნებისმიერი სენის დიაგნოზის დასმა. გარდა ამისა, მისთვის ბევრჯერ მიუმართავთ საგამოძიებო ორგანოებს თხოვნით, მოეწყო ბოროტმოქმედთა მიერ აღწერილი სიზმრების ექსპერტიზა.

ეტიუდი

დავით გურგენიძე
საერთაშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში
საქართველოს კონკურსი, 1973 წ.
I-III პრიზი



თეთრები ყაიმს აღწევენ

თეთრები წარმატებით ებრძვიან შავ პაიკებს. ფინალში ეს ორთაბრძოლა, შავი ლაზიერის დაჭერით მთავრდება.

ჩვენი გაზეთის 11 აპრილის ნომერში დაბეჭდილი რ. მინდაძის ამოცანა ასე იხსნება: 1. კh4 მფd4 2. კf6+; 1. ... მc3 (მd4) 2. d3+.

კროსვორდი

თარაზულად: 9. ქართული ეროვნული მხატვრული კინემატოგრაფის ფუძემდებელი. 10. სოლისტი ქალის მიერ უპარტნიოროდ შესრულებული ტექნიკურად განვითარებული ცეკვა. 11. ფრანგი კინორეჟისორი და სცენარისტი, ფრანგული კინოს ე. წ. „ახალი ტალღის“ ერთ-ერთი მოთავე. 12. ლესოტოს დედაქალაქი. 13. ნ. ჩხეიძის მიერ განსახიერებული პერსონაჟის სახელი ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის დრამაში „ღალატი“. 14. რეჟისორ ლ. ესაკიას ფილმი. 16. განთიადი, გარიჟრაჟი. 18. ჯადოქრობა, მისნობა. 21. იტალიელი ფეხბურთელი. 22. უ. შექსპირის ნაწარმოების პერსონაჟი. 23. ფრანგი კინომსახიობი ქალი. 24. ურჩხული. 26. ნახატი, რომლის წინ მოთავსებულია მოცულობის მქონე ფიგურები. 28. ინდოელი კინორეჟისორი, სცენარისტი და მწერალი. 31. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ზოგი დოკუმენტის სახელწოდება. 34. იაპონური ეროვნული ტანსაცმელი. 36. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი. 37. კორდებალეტის მთავარი მსახიობი. 38. გარეული ცხოველის, ნადირის სადგომი. 39. ფოტოგრაფიულ გამოსახულებათა რიგი პოზიტიურ ფირზე. 40. ქართველი კომპოზიტორი.

შვეულად: 1. მეტისმეტად კომიკური, სახუმარო წარმოდგენა. 2. აზრი, ჩანაფიქრი, ვარაუდი. 3. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 4. იტალიელი მისიონერი, 1634 წ. ქართული სკოლის დამაარსებელი ოზურგეთში. 5. მსხვერპლად შესაწირავი საკლავი. 6. ფულადი ან ნივთიერი ჯილდო. 7. ფილმ „არსენა ყაჩაღის“ დამდგმელი რეჟისორი. 8. ადამიანი, რომელიც საცხოვრებლად გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე. 15. სია, ნუსხა, აღწერა. 17. ერთგვარი ინანთეული, სურნელოვანი წყალი. 18. ისტორიული პროვინცია, შემდეგ ძველი სახელმწიფო ირანის ჩრდ.-დას. ნაწილში. 19 დ. თორაძის ბალეტი. 20. ხის სოკო გამოხარშული ნაცარტუტის ხსნარში. 25. დრამატული სიუჟეტის მქონე მუსიკალური ნაწარმოები. 27. ქართველი კინორეჟისორი. 29. ტროპიკული ან სუბტროპიკული დეკორატიული მცენარე. 30. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი. 32. ფრანგი კინორეჟისორი. 33. ამა თუ იმ ცნობილი მოვლენის გავრცელების არე. 34. ტოკიოს ეროვნული თეატრი. 35. ამერიკელი მომღერალი და კინომსახიობი ქალი, ამერიკის პრემია „ტონის“ მფლობელი.



11 აპრილს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. შტიხელი. 8. ფილიდორი. 9. ექვატორი. 11. „მზეჭაბუკი“. 12. სნობი. 13. კალთა. 18. ფოლგა. 20. ლორნეტი, 21. შევრო. 22. ქორალი. 23. აპათია. 27. რეალი. 28. კრატერი. 29. იორკი. 32. მაზრა. 33. ჭერმი. 34. „დედისერთა“. 37. ეთნონიმი. 38. კამპიონი. 39. კამელია.

შვეულად: 2. ტურნე. 3. „ლაკმე“. 4. ვილანელა. 5. ადამია. 6. ბატიკი. 7. ერისთავი. 10. სალონი. 14. ეფემერი. 15. ბოდლერი. 16. სტოპერი. 17. დოტაცია. 19. აზოტი. 21. შორტი. 24. „ნაზარეთი“. 25. სტრესი. 26. ტრომბონი. 30. მადონა. 31. აჯასპი. 35. დომრა. 36. „რეალი“.

● ამინდი

ვარდობისთვე

გაზაფხული იწურება. მისი ბოლო თვე — მაისი საქართველოს ტერიტორიაზე აპრილთან შედარებით 4-6 გრადუსით თბილია. კლიმატური მონაცემებით, ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მერყეობს 13-დან 18 გრადუსამდე, მთაში 11-დან 16-მდე, მაღალმთიან რაიონებში 6-დან 11 გრადუსამდე. მაგრამ ცალკეულ წლებში იგი რამდენადმე გადაიხრება ხოლმე აღნიშნული საშუალო მრავალწლიური მონაცემებისაგან. მაისში საგრძნობლად მატულობს ცხელი დღეები. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი დაბლობ რაიონებში აღწევს 32-37, კოლხეთის დაბლობზე ზოგან — 39 გრადუსს, აბსოლუტური მინიმუმი დასავლეთ საქართველოში იკლებს 4 გრადუსი სითბოდან 0-მდე, ქართლის ვაკესა და კახეთში 1 გრადუსი სითბოდან 4 გრადუს ყინვამდე.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მიმდინარე წლის მაისში საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან ახლოს. პირველ დეკადაში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით რესპუბლიკის დაბლობ რაიონებში 2-7 გრადუსამდე (შიდა ქართლში და მთიან რაიონებში 2 გრადუსი სითბოდან 1 გრადუს ყინვამდე) მაღალმთიან რაიონებში 1-6 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა აჭარაში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე მეტი, დანარჩენ რაიონებში მასთან ახლოს და მასზე ნაკლები.

მაისის პირველ დეკადაში სასოფლო სამეურნეო კულტურების ვეგეტაციისათვის არახელსაყრელი პირობებია მოსალოდნელი.

მაისის თვეში მდინარეთა წყლიანობა ნორმის ფარგლებშია მოსალოდნელი. შესაბამისად წყლის დეფიციტი საირიგაციო და ენერგეტიკულ წყალსაცავებში საგრძნობი არ უნდა იყოს. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ზაფხულობით მდინარეთა წყლიანობის მკვეთრი შემცირების გამო, წყლის ნაკლებობა საგრძნობი გახდება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. ასე, რომ წყალი აქედანვე ყაირათიანად უნდა ვხარჯოთ.

ნიკოლოზ ბერაძე,
საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე, ჰიდრომეტეოროლოგიის მთავარი სამმართველოს უფროსი.

გამოსათხოვარი

მერაბ ზაუტაშვილი

ქართველ მეღვინეთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა ყველასთვის საყვარელი პიროვნება, გულისხმიერი ადამიანი, საქართველოს ღვინის მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ომისა და შრომის ვეტერანი, საბრძოლო ორდენების და მედლების კავალერი მერაბ ილიას ძე ზაუტაშვილი.

იგი 40 წელიწადი დიდი სიყვარულით, საკუთარი თავის მიმართ დიდი მომთხოვნელობით ემსახურა საქართველოსთვის ტრადიციულ ღვინის მრეწველობას, კადრების აღზრდასა და დახელოვნებას. მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, გამოგონების, წიგნის და ახალი მარკის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ავტორი სრულიად საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და პირველი პრეზიდენტი იყო.

მ. ზაუტაშვილის პიროვნებაში შერწყმული იყო მეცნიერისა და პრაქტიკოსის გამოცდილება, წარმოების ორგანიზატორის ნიჭი და გარშემომყოფთა მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულებისა და მეგობრული ურთიერთობის გამორჩეული უნარი, რაც სრულყოფილად გამომჟღავნდა რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის დარგის ერთ-ერთ ხელმძღვანელად, გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსის მოადგილედ მისი მუშაობის პერიოდში. ბატონ მერაბს დარგის სპეციალისტებს შორის ჰქონდა დამსახურებული ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული.

კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო; ღვინის მრეწველობის რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტი“, სრულიად საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კავშირი; სამრეწველო სავაჭრო ფირმა „მუხრანი“.

მთავარი რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

[illegible] [illegible] ქ. № 14, [illegible] 99-93-88; [illegible] 99-73-84. [illegible] ოფსეტური წნევით [illegible] [illegible] ქ. № 30.

[illegible]